

ნ 8
კაპაძე

1960
10

საბჭოთა
ხელოვნება

საბჭოთა ხელოვნება


საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



10

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი

1960




ა. შატალოვი

ბრატსკის ჰესი შენდება

მთავარი რედაქტორი — ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე (პ/მ, მდივანი).



ბ. ქაპაშვილი
ლინოგრაფიერა სერიიდან
„რუსთავი“, სადილოზო
შრომა, 1960 წ.

ხალხისადმი მიმართული ხალხობნება

საბჭოთა კავშირი არის ქვეყანა მოწინავე სოციალისტური კულტურისა, რომელიც ხალხს ეკუთვნის. თავის მრავალნაირ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ჩვენში იქცა შრომითა მილიონების უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო მისწრაფებად. ისინი იჩენენ ღრმა და ცხოველ ინტერესს ცოდნისადმი, მეცნიერებისადმი, განათლებისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. მათ სულიერი ინტერესების სიფართოვე, შეუკავებელი მისწრაფება კულტურისადმი დადასტურება იმისა, თუ როგორ ამაღლებს ადამიანს კაცობრიობის ნათელი მერჩობის მოსახლოებად წარმოებული თავისუფალი და შთაჯონებული შრომა. არასდროს ასეთი ძალით არ გამოვლენილა საყოველთაო-ხალხული სიყვარული ხელოვნებისადმი, როგორც ჩვენს დროში.

ხალხის დიდი და დამახასიათებელი აღიარებით სარგებლობს ჩვენში თეატრალური ხელოვნება. საბჭოთა საყურებლები, რომელთაც თავი გამოიჩინეს, როგორც ხელოვნების შესანიშნავად აღმასტუმრებმა, საუკეთესო მოლოდინით ხედდნენ ამ დღეებში დაწყებულ თეატრალურ სეზონს. ჩვენს მაყურებლებს სურთ იხილოს ნიჭიერი ასექტალები, იმ ხალხის დღევანდელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი, რომელიც ისეთი ძლიერი გაქანებით აწვრილებს კომუნისტურ შეხედობებს. ხალხის მადლობას, სახალხო აღიარებას დაიხსენებენ ის თეატრები, რომლებიც მართლად მაკეთრ მხატვრულ სახეებში გახსნა ჩვენი ხალხის საუბრო საქმეების დიდ ისტორიულ აზრს, დაჯანახებულ სცენაზე ჩვენს თანამედროვე ადამიანს მთელი მისი სიმაღლით, გვიჩვენებენ მისი ხასიათის საუკეთესო თვისებებს, მთელ მის მრავალფეროვან სულიერ ცხოვრებას.

საბჭოთა თეატრის ხელოვნება მიმართულია მილიონებისაკენ. მისი მაყურებლები არიან კომუნისტების მშენებელი ადამიანები, მერჩობისაკენ მისწრაფებულნი, კომუნისტური შრომის გამარჯვებისაკენ მიმავალი ადამიანები. ისინი როდი მიიდან თეატრში წერილობითი, ვიწრო და შეზღუდული ინტერესებით, როდი მიიდან თეატრისაკენ ფურცლს და უზარო თავის შექცევას მათ იტყვიან და აღილევენ ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტებისაკენ ჩვენი საზოგადოების ძლიერმოხილ მოძრაობასთან, მომავლის ადამიანის აღზრდასთან, და ისინი თეატრის მადღიერი იქნებიან იმ ასექტალებისათვის, რომლებიც მათ ღრმად ჩააფიქრებენ, ცხოვრებისეული დაღიბითი მავალითის ძალით შთააფიქრებენ, შეაჩვიებენ მათ ჩაწვდნენ სახალხო საქმეების სიღამაზს, შემოქმედებითი შრომის სიღამაზს.

კომუნისტური პარტია შემოქმედი მოუწყობს ყურადღებით მულად წარმართავს მხატვრული შემოქმედების მაცოცხლებელ წარუბასკენ — ხალხის ცხოვრებისაკენ, კომუნისტების მიზნებით შთაჯონებულ მისი შემოქმედებითი შრომისაკენ. პარტია მზრუნველობით და საათოდა ზრდის ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას ხალხისადმი თავდადებული მხასურების სულსიყვითებით, მხატვრის მადლი მოქალაქეობრივი დანიშნულების შეგნების სულსიყვითებით.

ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მსველავს თეატრის მთელს მოუშობს. თეატრალური კოლექტივის შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფასება იწყება მისი რეპერტუარით. რეპერტუარი წარმოადგენს სცენური ხელოვნების საფუძველთა საფუძველს. უკვე თეატრის აღმოს მხედველი შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად ამართლებს თეატრის თავის მადლ საზოგადოებრივ მხატვრულ მიწოდებას. ყოველი თეატრისათვის რეპერტუარის შედგენა მისი მოღვაწეობის უფრესად პასუხისაკენ,

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სერიოზულად და მომთხოვნელობით, საბჭოთა ხელოვნების წინაშე მდგარი დიდი ამოცანების შესაბამისად, მიუვლოდ დასაბუთებლად განზრახულ დრამატურ-გაულ ნაწარმოებთა შეჩვენებას. მაკარა საჭირო მომთხოვნელობას ამ მხრივ ყოველთვის როდი იჩენენ. სცენაზე კვლავ ჩნდებიან ასევე, რომლებიც არ იმსახურებენ სერიოზულ საზოგადოებრივ ყურადღებას, სუსტი ზერეფ, მხატვრულად უსუსური, თანამედროვეობის დიდ თემებს დამორბეული ბიები, ისეთი, როგორც არის „Взломщики тишины“, „ავუსტა“, ან „დღეს და ყოველთვის“.

ბევრი თეატრი არ იყენებს მილიონად აყამად არსებულ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ სცენაზე უჩვენოს ჩვენი გმირული დროის პათოსით გამსჭვალული დრმა და საინტერესო ნაწარმოებები.

ეს შესაძლებლობანი მდგომარეობენ დრამატურგაში საშუალოდ მოსული ახალგაზრდა ნიჭიერი ლიტერატორების უფრო გაზედულ, უფრო დაინტერესებულ და ენერგიულ გამოვლინებაში, დრამატურგთა ახალი თაობის გულმოდგინე და მზრუნველ აღზრდაში. ახალი შემოქმედებითი ძალების მოსვლა თეატრში — ეს არის ახალი სახეები და ხასიათები, ახალი სიუჟეტები და კონფლიქტები, რომლებიც იბადებიან დღევანდელი სინამდვილეში და ჩვენს წინსვლას მოუწყავენ. ეს შესაძლებლობანი მდგომარეობენ აგრეთვე თეატრის მხრივ ყველაზე უფრო გამოვლილ და საუკეთესო დრამატურგებთა შემართული შემოქმედებითი თანამეგობრობის, პრინციპული, უსამართლის, საერთო საქმის ინტერესებით ნაკარანხევი თანამეგობრობის დამყარებაში. ბოლოს, რეპერტუარის შევსების დიდი შესაძლებლობა მდგომარეობს მრავალეროვნად საბჭოთა დრამატურგაში, რომლის მხატვრული სიმდიდრე მტად უმნიშვნელო რაოდენობით არის გამოყენებული. რამდენად უფრო საინტერესო გახდება თეატრების მხატვრული ცხოვრება, თუ ისინი უფრო მეტ რაოდენობით მიადგენენ იქ თვალს ყველაფერს იმ ახალს, რაც ჩნდება მომედ რესპუბლიკების შერჩაობა შემოქმედებით, თუ ისინი მოაკვარებენ მათთან მულდე ცოცხალ შემოქმედებითი კავშირს.

საზღვარგარეთის თანამედროვე დრამატურგაც შეიძლება გახდეს თეატრალური რეპერტუარის შევსების ერთ-ერთი წყარო. რა შესანიშნავ შესაძლებლობას უძის წინ თეატრების თანამეგობრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდა თეატრებთან, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში სოციალისტური რეალისტის გზით მიიდან ბურჟუაზიულ სამყაროშიკეთი არიან პროგრესული, პატაროსანი მხატვრები, რომლებიც მათი ვარემომველი უსინახელობა სინამდვილის თემების პრობლემაში პროტიკების ხმას იმადლებენ, მიიდან თუბის ხალხთან დასახლოებულად, დაპარაკებენ სიმართლეს ცხოვრების შესახებ. ამ მხატვრული შემოქმედებისათვისაც მოიხატება ავლით თეატრალური რეპერტუარში. ყოველივე საუკეთესო და პროგრესული, რაც კი მოიპოვება აყამად საზღვარგარეთის თანამედროვე დრამატურგაში, იმსახურებს იმას, რომ ნაჩვენებ იქნას საბჭოთა თეატრის სცენაზე.

მაკარა მთავარ ამოცანად თეატრალური კოლექტივებისათვის წინანდებულად რჩება თანამედროვეობაზე ნიჭიერად დაწერილი ბიების ნიჭიერი განსახიერება. დაწყებული სცენოში მარტო მოსკოვის თეატრები უჩვენებენ წ. პოკოის დრამას, ა. კორნეიჩუკის, ვ. ლადარტეივის, ს. მინახაივის, ნ. ვირტას, ვ. პრიდეის, ვ. ტერ-გრიგორიანის, ა. ლევაის და ბევრი სხვა დრამატურგის ახალ ბიებს, რომლებიც ჩვენს დღეებს ასახავენ. თანამედროვე ბიებსავე გაწეულ მუ-

შობაში უფრო მეტი სისრულით ვლინდება მსახიობის ნიჭი და ტალანტი. სიახლე ცხოვრებაში მოითხოვს ახალ მხატვრულ ათვისებას იმისას, რაც ამჟამად ახასიათებს ჩვენს თანამედროვე ადამიანს.

თანამედროვე ცხოვრების, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ახალ ურთიერთობათა დაკვირვებულ შესწავლა, ცხოვრების მოვლენების არსში ღრმად გარკვევის უნარი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მხატვრული ოსტატობის დონეს. მხატვრის ნიჭის სასიყვე და სიძლიერე შედარდება სინამდვილისადმი მის დამოკიდებულებაში. თუ ტალანტი მიმართული არ არის ცხოვრებისაკენ, ადამიანი სინე, თუ მას არ ადლეგებს ხალხის გმირული საქმეები, იგი ვერასოდეს ვერ გაათბობს ადამიანის გულს და ვერაინის ადლეგებს.

შარშანდელ სეზონში ცოტა როლი იყო ჩვენი რეჟისორების მიერ განხორციელებული მკაფიო დადგმები, მათ შორის, გამოირჩეოდნენ ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლები — „ირკუტსკის ამბავი“ ვახტანგოვის და მაიაკოვსკის სახელობის თეატრებში; „ყველაფერი რჩებათ აღამიანებს“ მოსკოვის სამხატვრო თეატრში; „სტრიაპუხა“ ბევრ თეატრში; „ლეა“ ესტონურ თეატრ „ვანემუი-ნი“-ში და სხვ.

ქურნალ „Teatr“-ის ფურცლებზე გაშლილი დიდი შემოქმედებითი დისკუსია თემაზე „რეჟისურა და თანამედროვეობა“ ცხადყოფს საბჭოთა რეჟისორის შემოქმედებითი აზრის აქტიუობას, მის მისწრაფებას ნოვატორობისა-

კენ. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ მხატვრულ სახასილედ, ახლის ძიებად ზოგჯერ სადღეა ჩვენი მასურებლის ესთეტიკური მოთხოვნილებებისათვის შეუფერებელი, ძველი და დრომოკმული ამბების გადამღერება. ნოვატორობა ხელოვნებაში ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი თანამედროვეობით მხატვრის მხურვალე გატაცებაში. მის უნარში — ღრმად გააზრებული მხატვრული ხერხების საშუალებით აჩვენოს ის ახალი, რასაც ცხოვრება წარმოშობს.

რევოლუციის შორეულ წინაწლებში, დიდ რუს მსახიობთან ირილიოვასთან შეხვედრის შემდეგ, დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდობა მცირე თეატრიდან შინ აკრძალული რევოლუციური სიმღერებით ბრუნდებოდა, რესპუბლიკის პირველ სახალხო არტისტს, რომელმაც ეს საპატიო წოდება გ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო და რომელიც იმ შორეულ წლებში ძველი კლასიკური რეპერტუარის როლებში გამოდიოდა, თავისი ძლიერი ტალანტის ძალით მასურებელთა დაბაზაში მოპქონდა მომავალი ახალი ცხოვრების ქროლეა, ხდებოდა რა ამით თავისუფლებისმოყვარეობის შთაგონებული ტრიბუნი.

რამდენად მშვენიერი, ადამიანის სულის და გულის წარმატცი უნდა იყოს დღეს თეატრის ხელოვნება, როცა სცენაზე მთელი თავისი რეალობით მკვიდრდება ჩვენი ცხოვრების დიდი სიმართლე, გამარჯვება დიდი საქმისა, რომელსაც, კომუნიზმის ძლევაშისილი დროშით ხელში, ანხორციელებს გმირი საბჭოთა ხალხი.

„ბრავა“ 11/9 1960 წ.

ა. სიმონოვი

ჩამოსხმელები



საქართველოს მხატვარ ქალთა შემოქმედება

გულნარა ჯაფარიძე



აქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში ქალთა საერთაშორისო დღის — მ მარტის 5-ს წლისთავთან დაკავშირებით მოჭარბილი გამოფენა ერთგვარად შემავაზებელ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან აქ პირველად იყო შეკრებილი და წარმოდგენილი საქართველოს მხატვარ ქალთა შემოქმედებითი მონაპოვარი ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, თეატრალურ-დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების დარგში.

თქმა არ უნდა, დიდი ხანა გაცემლი იმ ხანას, როდესაც ჩვენში გაკვირვებას იწვევდნენ ქალის ესა თუ ის შემოქმედებითი ძილწევები. დიდი ხანა საბჭოთა ქალი მხარდა მხარ მისდებოდა მამაკაცს შემოქმედებით მონღაწეობაში, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჯერ კიდევ 30-იან წლებში სამხატვრო გამოფენებზე მონაწილე ქალების რიცხვი მხოლოდ ათეულს აღწევდა, დღეისათვის საძნელო ღებვა ასეულს მიღწეული მათი სახელების ჩამოთვლაც კი.

რიცხვობრივ ზრდასთან ერთად მაღლდებულა მათი ნაწარმოებების მხატვრულ-პროფესიული დონე, რაც უდავოდ ცხადყო ზემოხსენებულმა გამოფენამ.

გამოფენის მონაწილე მხატვარ ქალთა უმრავლესობა სისტემატურად ან პერიოდულად მაინც მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. არაერთი მათგანის ნამუშევარმა მიიპყრო ყურადღება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეის დროს მოსკოვში მონაწილე გამოფენაზე, 1958 წელს. არაერთი მათგანის სახელი გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს, ხოლო ქეთევან მაღალაშვილის, ელენე ახვლედიანის, თამარ აბაქულიას, ეკატერინე ბაღდაძის, ეთერ კაკაბაძის, ნატალია ფულაუანდიშვილის, დინარა ნოღისა და სხვ. ნამუშევრებმა განსაკუთრებული ყურადღებაც კი დაიმსახურეს 1959 წლის შემოდგომაზე ბოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მონაწილე გამოფენაზე.

საქართველოს მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა მრავალფეროვანი იყო თემატიკის, კანონის, სტილისა თუ შესრულების ტექნიკის მხრივ. იგი მეტყველებდა მხატვართა დაულაღვ ძიებნებზე და ამის შედეგად მოპოვებულ მიღწეულებზე. აღსანიშნავია, რომ ავტორთა უმრავლესობამ გვიჩვენა მეტად თავისებური, ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე. ამასთან მხატვრები აქვთ თანაპიროვნების გრძობა. ეს ჩანს არა მარტო მათ მიერ შეჩერებული თემებიდან, არამედ თემისადმი დამოკიდებულებიდან.

ვინაიდან გამოფენის მონაწილეთა უმრავლესობა წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდში შესრულებული რამდენიმე ნაწარმოებით, შეგვიძლია ზუსტად აღვნიშნო შევიწყო თვითთული მათგანის შემოქმედებას.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ქეთევან მაღალაშვილს ქართველ ცნობის ფართო საზოგადოებრიობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის რამდენიმე საუკეთესო ნამუშევარი. მათ შორის ყურადღებას იქცევდა „მანანა ხიდაშელის პორტრეტი“. შეკრდა შემოხარული ჰლასტიკური სილუეტის კარგად ენამება ახალგაზრდა ქალის ღამის, მტკიცე ნებისყოფის განამხატვლე სახეს. ხასიათი კარგად არის აგრეთვე გადმოცემული „თელი დინარის პორტრეტში“. პაეოვანი ფონი ხაზს უსვამს პორტრეტის ფერთა ნაზ ტონალობას.

ბოლო ხანებში ქეთევან მაღალაშვილი წარმატებით მუშაობს პასტელით. გამოფენილი იყო ამ მასალით შესრულებული პორტრეტების სერია, რომლებშიც მხატვარი ოსტატობის დიდ სიძაღლებს აღწევს. ასეთია „მანანისტ ელისო ვრისალაძის პორტრეტი“. მხატვრის შემოქმედებით გამარჯვებულ უნდა ჩათვალოს აგრეთვე „ქაქუცი იშხნელის“ და „მხატვარ ცერაძის“ პორტრეტები, როდესაც შიაც ზედმიწევნით კარგად არის დატყვევებული მხატვრის ხასიათი, ტემპერამენტი, პოზა, გამომეტყველება.

პოეტურობით დასავსა საქ. სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის შემოქმედება. ელ. ახვლედიანი ერთ-ერთი პირველი ქართველი პეიზაჟისტი, ამავე დროს წარმატებით მუშაობს როგორც გრაფიკის, ისე თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების დარგებში.

შემოქმედების პირველსავე პერიოდში მხატვარმა მოგვცა ქართული სოფლისა და ძველი თბილისის კუთხეების საინტერესო სურათები, რომლებშიც ავლენს არა მარტო თავისი ქვეყნის სიყვარულს, არამედ გვიჩვენებს მხატვარ-დეკორატორის თვალით დანახულ, საქართველოს ბუნებისათვის დამახასიათებელ დეკორატიულ ელემენტებს „სინდანი“, „ძველი თბილისი“ და სხვ.). გამოფენაზე მაყურებელს ხიბლავდა ფერწერული ტილო „ძველი თბილისის კუთხე“ (1939 წ.), ეს ნაწარმოები ინტენსიური ფერების შექვამაშია შესრულებული, რაც რომანტიკულად განაწიებს მაყურებელს. ხედვის საინტერესო წერტილის მოძიება, ძველი არქიტექტურული პეიზაჟების თავისებური ხასიათის გადმოცემა, გარემოს დეკორატიული აღქმა და მისი მართალი წარმოსახვა, მხატვრის შემოქმედების დამახასიათებელია. ასეთია „ოქოაქები — „გამბორის უღელტეხილი“ და „კახეთი“, რომლებიც გვიხიბავენ გუშის ფერთა ხალისიანი, ინტენსიური ყურადღებით.

თავის შემოქმედებაში მხატვარმა დიდი ადგილი დაუთმო ახალ მშენებლობათა თემებს, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ასახა ბულაჩაურისა და სამგორის მშენებლობათა სურათები. გამოფენაზე წარმოდგენილი „სამგორის მშენებლობა“ ან სეროის საყურადღებო ნამუშევარია.

მხატვარი კარგად გადმოსცემს წყლიწარის სხვადასხვა დროისათვის დამახასიათებელ ფერებს, შეიკვირბოს ქვეყნისა თუ მხარის თავისებურებას („უკრაინის პეიზაჟი“, „იმერეთი“, „ზამთარი“ და სხვ.).

ელენე ახვლედიანის ნაწარმოებებს შორის ეხედებით რუსეთის, უკრაინის, საფრანგეთის, ესტონეთის, ჩეხოსლოვაკიის პეიზაჟებს სხვადასხვა მასალაში შესრულებული, რომელთაც მკაფიოდ გადმოსცემს ამ ქვეყნების ნაციონალურ თავისებურებებს. უკანასკნელ წლებში შესრულებული პეიზაჟებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ბრატისლავის გრაფიკული ჩანახატები და ერთ მთლიან ნაკრისფერ გამაში შესრულებული „პრალა“.

ნიჩო თამაშევაკის ღრმად გააზრებული ნატურმორტი ავტორის მხატვრული უღლის მაუწყებელი არიან. „ნატურმორტი ურბანი“ ქართული სოფლის ცხოვრებაზე მოთხრობილ პატარა ნოველას წარმოდგენს. მასში მხატვარი დიდ სიბოძს აქვს ელ და უზრალად, პატარა ამბის განსახილველად იუმორით ავსებს; ურბანი და გამეჩენი მხატვრის ქართული ხალხური აესამაშოს სახით წარმოდგენია. ხოლო ურბის კოლოზე მიგდებული ყანწი შეზარბოშებული მეურმის სიმბოლური დეტალია.

მხატვრული ღირსებები გამოირჩევიან ნატურმორტი

„ბროწეულები“, „სალბაგები“, „ვიატკური თოჯინები“ და სხვ. საერთოდ მხატვარს სჩვევია ხატურმორტივისითვის სათამაშოების სიუჟეტური გამოყენება, მსუბუქი იუმორით ნაწარმოებთა გასცხვალვა.

სასურაღლებოა ნიხო თამაშმევის „ახალგაზრდა იეზიდი ქალის თაი-ტაპირივას პორტრეტი“. ქალის მოხდენილი აღზავობის წარმოსახვას, მისი ბუნების ფსიქოლოგიურ გახსნას ხელს უწყობენ სურათის მწორებარისხივანი ელემენტებიც კი; მავალითად, სურათის ფონად გამოყენებული ფარდის სახეები — დამფრთხალი შველები.

მხატვარ ირნიე გიგოლაშვილის ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებიდან გამოირჩეოდა დიდი ტილო „სვახეთი“, „სვანეთი ღამით“ და „თბილისის კუთხე“. სვანეთს მის შემოქმედებამი წამყვანი ადგილი აქვს დათმობილი, ამასთან მხატვარი ამ კუთხის ერთ-ერთი პირველი ამსახველთავანია.

მხატვარი მარგო მეტრეველიც საქართველოს ბუნების მოტრფიალეთა რიცხვს ეკუთვნის. მას მეტად იზიდავს ქართული სოფელი, მისი თავისებური ყოფა, დილა-საღამოები. მხატვარს ეუფრებება ამა თუ იმ გახსნილობის გადმოცემა, რასაც უძველმდებარებს სურათის კომპოზიციას. ასეთია „წვიმიანი დღე“, „მომე ტირით“ და სხვ.

მარგო მეტრეველის ბუხაგები მეტწილად მუქ გამაშა დაწერილი, მაგრამ ფერები ყოველთვის მთელი ძალით ვერ ვლერენ. მხატვარს კარგად ვიცნობთ მის ნაწარმოებთა ინდივიდუალური გამოფენებიდან, რომელზეც წარმოდგენილი იყო რიგი საინტერესო ნამუშევრებიც.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ეკატერინე ბაღდაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს გასული საუკუნის საქართველოს ცხოვრებას. 1946 წლის საანგარიშო და 1957 წლის პერსონალურმა გამოფენებმა ჩვენს საზოგადოებრიობას წარმოუდგინეს მხატვარი ქალის შემოქმედებითი მონაპოვარი და ცხადაყვეს მისი ზრდა და დაოსტატება.

ეკ. ბაღდაძის ფერწერისათვის დამახასიათებელია ნაზი კოლორიტი და მსუყე მონახები. მისი სურათების მშვიდი ფერები ფაქიზად და მოხდენილად ვლერენ. ვერ ვიტყვი, რომ გამოფენაზე მხატვარი წინანდებურად გამოიყურებოდა. მის ფერწერულ ტილოებს ამჟამად ჰარბად შეაპარავით თეთრა. სამწუხაროა, რომ გამოფენაზე გამოტანილი არ იყო ბაღდაძის შესანიშნავი პორტრეტები — „მოხუცი გლეხი“, „შვილები“, „მამაკაცი ჩიბუხით“ და სხვა, რომლებიც უკეთ დავგანახებდნენ მხატვრის შემოქმედების გამარჯვებებს.

მანერის ინდივიდუალური თავისებურებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ფერწერი-პორტრეტისტი ნათელა იანქოშვილი. იგი თავისუფლად ფლობს ფუნჯს, უყვარს შავ, ლურჯ და საერთოდ მუქ ფერებთან მკვეთრი ფერების დაბრისიპირება, მაგრამ ისეთ კონტრასტში, რომ ფერები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ესამეიან. შეიძლება მხატვარს შევედავით მანერაში, ნახატში, მაგრამ ვერავინ ვერ აუვლის გვერდს მისი კოლორიტის მთლიანობას. თუ ზოგიერთი მხატვარი თავის ნაწარმოებში უფრო მეტად კომპოზიციავზე ან ნახატზე ამახვილებს ყურადღებას, ნ. იანქოშვილი იმ უმცირესობას ეკუთვნის, რომელთაც შესწევთ უნარი ფერწერის საშუალებით არა მარტო გახსნილობა გადმოსცენ, არამედ ფსიქოლოგიურადც აამეტყველონ ნაწარმოები.

ნათელა იანქოშვილის ფუნჯის მონახში მტკიცე და გაბუნელთია. მის შემოქმედებაში ფერები მოვლენის ნასითა და გარეგნობას ექვემდებარება. სურათის ფონი თითქმის ყოველთვის პირობითია, სახის უფრო მკაფიოდ გამოსახვლენად გამიზნული. მხატვარი დირსებებით გამოირჩეოდნენ ფერწერული პორტრეტები „ნუშუ გელდიაშვილი“, „ლოლი ძალით“, „უფიარი ღონდაგი“, განსაკუთრებით „მამის პორტრეტი“. მცერაღა ეფექტებს მოვლენებით, ერთ მთლიან მომწვანო გამაში შესრულბული, ხან-შიშუსული მამაკაცის სახე მეტად მეტყველი, ჩამოყალი-



ქ. მადლიაშვილი

მელვა ჯაფარიძის პორტრეტი

ბებული, სკულპტურულად გამოკვეთილი და ინდივიდუალობით აღსავსე.

ნათელა იანქოშვილის გრაფიკული ნამუშევრებიდან საინტერესო ფურცლებს წარმოადგენენ „ნანა“, „პაოლო იანქოშვილის პორტრეტი“, „დავით კობერავილი“ და სხვ., რომლებშიც მხატვარი შევისა და თეთრის მკაფიო კონტრასტებს მიმართავს.

პორტრეტისტი ნელი ჩიქოვანი გამოფენაზე ბუხაგების საინტერესო ეტიუდებითა იყო წარმოდგენილი („სოფლის ბუხაგი“, „ხე“). მიმოხველია პასტელით შესრულბული „ავტობორტრეტი“. გამოირჩეოდა აგრეთვე „ქირურგის პორტრეტი“, ექიმი თითქმის ეს-ეს არის იპერაციით მოვლულა, ხელთათმანს იხის, მაგრამ გაულისყურით ისევ აუდარყოფთან არის. მხატვარი ცდილობს თვითბული შევლდს მიუყენოს ფერთა შესატყვისი გამა, და თუმცა ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს („წიგ-

ნაძის პორტრეტი", "ქალი ყვითელში"), მაინც უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება უდავოდ აღმავლობის გზაზეა. ამან მოწოდებს სასიამოვნო, ცოცხალ ფერებში შესრულებული „ეუფა მიქაის“ პორტრეტს, რომელშიც კარგადაა გადმოცემული ახალაზრდა ქალის ხასიათი. რუსულად ჯაკვაროშვილი ძირითადად პეიზაჟისტი, მაგრამ გამოფენაზე ხანჯი სტუდენტის, ფრანსუა ევას საინტერესო პორტრეტს წარმოადგინა. მხატვარს უყვარს მოგზაურობა და ბუნების სურათების ეტოლდებში ფიქსირება, რაც მისასაღებელი მოვლენაა. მაგრამ მტკუნდების სურათადღე აყვანა მხატვრისაგან მოითხოვს შემდეგ სერიოზულ მუშაობას. რუსულან ჯაკვაროშვილის პეიზაჟები არ არიან მოკლებულნი მრავალფეროვნებას, მაგრამ მისი უშთაურესად მხატვრის პირველ შთაბეჭდილებას გამოეწევენ.

ელენე ტოლკევიჩის შემოქმედებაში გვხვდება ნატურმორტი, პორტრეტი, საყოფაცხოვრებო ჯანბი. ჩანს, რომ მხატვარს შეუძლია საინტერესო კომპოზიციების შექმნა. სურათს „მექანაზიფა ყოფა-ცხოვრებაში“, რომელიც ქალის შრომის შემსუბუქების აქტუალურ თემს ეხება, ავლია გამოშახებულმა როგორც თემის ვახსნის, ისე ფერწერული თვალსაზრისით. კარგია „ნატურმორტი ქოხნებით“ —ზეღაღმართული, პერსპექტიული კომპოზიციით და აგრეთვე „შვილის პორტრეტი“. მასზე ცოცხლად აღებუდილი პატარა ბიჭუნას მეტყველი, ხალისიანი სახეცისია შანშიაშვილი საინტერესო პორტრეტების ავტორია. გამოფენაზე ყურადღებას იქცევდა მისი ახალი ნამუშევარი — „ქალიშვილის პორტრეტი“, რომელშიც ლამაზ, კარგად მოდულირებულ სახესთან შეხმატბილებულია ქალის სადა ჩაცმულობა — მწვანე კაბა და მასთან დაპირისპირებული მოყვითალო ფერი.

ქართულ მხატვარ ქალთა გრაფიკული ნამუშევრების მაღალი პროფესიული დონე ნათლად გამოჩნდა გამოფენაზე. ისინი სხვადასხვა მასალით, სხვადასხვა სტილითა და მანერით შემოაბეგნ და სულ უფრო და უფრო საინტერესო შედეგებს აღწევენ.

აქვეყლითა და გუამით შესრულებული შესანიშნავი პეიზაჟების ავტორია ნ ა ტ ა ლ ი ა ფ ა ლ დ ი შ ვ ი ლ ი. მისი ნაწარმოებები მეტწილად ასახავენ საქართველოს ქალაქებისა და უფრო მეტად კი სოფლის პეიზაჟებს, რომელნიც ყოველთვის მზითია და ჰაერით არიან სასუნეი. თითოეული ფურცელი სიყვარულით და ოპტიმიზმით არის გამოზარა, ხოლო ფუნჯის თაყისუფალი მონასმები, ტექნიკის მაღალი დონე, მათ სიციცხლით აესებს. მზიანი, ცოცხალი პეიზაჟები „მცხეთა“, „სოფელი ქვემო ლისი“, „თბილისი“ და განსაკუთრებით „სოფელი მაქარა“ მეტყველი კომპოზიციითა და შეუჩრდილის ისტატური შეხატვებით მხატვრის შემოქმედების მაღალ საფეხებზე გვევლინებიან.

გუამით შესრულებული ლირიკული პეიზაჟები გამოფენაზე ყურადღება მიიქცია აგრეთვე თელი დ ბ რ ა ძ ე მ, რომლის შემოქმედებასაც წინა წლებთან შედარებით საკრანობლად ეტყობა წინსვლა.

დაზვური გრაფიკის კვლავ საინტერესო ნიმუშები წარმოადგინა ეთერ ანდრონიკაშვილიც, რომელმაც ამ ბოლო წლებში თითქმის სრულად შეიცვალა მუშაობის მანერა და ტექნიკა. თუცა მის ნამუშევრებში ნახატი ყოველთვის ვერ არის დახვეწილი („ბავშვი სახედრო“, „თბილისის ზღაპრები“), იგი ვეცაყრობს ლამაზ და ზოგ შემთხვევაში მოულოდნელი კომპოზიციებით, რომელიც აღინიშნავდა ნამუშევრებთან შედარებით უფრო ინტენსიური ფერებით არიან შესრულებულნი („გუგეღრა“, „ბოსტანში“). ახალ სურათში „ხეხა“ ფერთა ტონალობა მაყოფლია. მტკიცე ხელით მოხაზული მსუყე მონასმები გრაფიკულ ნამუშევრის ფერწერასთან აახლოვებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ნამუშევრებში მხატვარი დავით კაკაბაძის ერთი პერიოდის გრაფიკის შტრიხობვან მანერასაც მიჰყვება.

ეთერ ანდრონიკაშვილის ავტოლითოვარდები ქართული სახეობის ხელოვნების საყურადღებო მოვლენას წარმოადგენენ.

მხატვარი ეთერ ბელეკაია საქართველოს ბუნებისა და ხალხის ყოფის კარგ მცოდნეა. იგი ავტორია კალმითა და აქვარული შესრულებული მთელი რიგი ეთნოგრაფიული ჩანახატებისა, და, რაც მთავარია, გრაფიურებისა, რომელთაც უკვე დამსახურებული აქვთ საზოგადოების მოწონება. აღსანიშნავია დაღესტნის სერია, სასაკუთრებით „დედა“ და დაღესტნის სოფლის პეიზაჟები, მიუხე მორცხლის ბუდეებით ერთმანეთთან მიკრული სახლებით.

მეტად ნაყოფიერი და საინტერესო ახალაზრდა მხატვარია დინარა ნოლია. მას უკვე მრავალი წიგნი და საქეტკალი აქვს გაფორმებული, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობა უშთაურესად დაზვური გრაფიკის ნაწარმოებებით, ინდუსტრიულ თემებზე შესრულებული რომანტიკული ფურცლების ავტორად იცნობს. მხატვარი ღრმად სწავლობს ცხოვრებას, ეცნობა საქართველოს მოწინავე წარმოებებს, ინდუსტრიულ ქალაქების — რუსთავის, კიათურის, ფოთის პეიზაჟებსა და მშრომელ ადამიანებს, მოგვიტობროს მათს შრომასა და დასვენებაზე. ამ ნაწარმოებებისათვის მხატვარმა მრავალჯერ მისილი ჯილდო, როგორც საბჭოთა აკემირში, ისე მის ვარუდ მოწუპობელ გამოფენებზე.

წიგნის გაფორმების ხელოვნება საქართველოში სულ უფრო მაღალ დონეს აღწევს. ამ დარგში ნაყოფირად მუშაობს ნიჭიერი მხატვარი ინა დიგნოვოტკევილა და გემოვნებით გაფორმებული წიგნის ავტორია. ის მუ-



ე. ანდრონიკაშვილი
ბოსტანში

დამ შესანიშნავად იცნობს გასაფორმებლად აღებული წიგნის შინაარსს, ეპოქას, მხარეს, ტიპას, მწერლის ხასიათს და მანერას. მოხასიანის, უჩიარლოსა და ანატოლი ფრანსის ნაწარმოებთათვის შესრულებული სამკაულები და ილუსტრაციები ამის ნათელი დადასტურებაა.

თავისებური ხელწერის გრაფიკოსად გვევლინება ნანი შალიკაშვილი. ის უძთავრესად ცხოვლილია, როგორც საბავშვო ლიტერატურის ილუსტრატორი, ბავშვისათვის გასაგები, მარტივი ენით მეტყველი მხატვარი. ი. ლომოურის "ქაჯახას" ილუსტრაციებს სხარტ ნახატთან ერთად ლაკონური თხრობა ახასიათებთ, რაც მათ ბავშვისათვის ადვილად მისაწვდომს ხდის.

თვალსაჩინო ნამუშევარს წარმოადგენს ნანი შალიკაშვილის დახვრტი გრაფიკის ერთ-ერთი ახალი ფურცელი — "ასე იყო საძაგორში". ეს ნაწარმოები აძყამად აყვავებული მხარის — სამკორის წარსულს გვიხატავს. დახვთქილი, მწირი მიწის ფონზე ვხვდეთ კოკები წყალზე მიზავალი ქალების შავ სილუეტებს. ფიგურათა აჩრდილები და მარშული მიწის ჩრდილოვან ხაარალებს უერთდებიან. წითლად აღეწილა აღმოდებული მიწა. სწყურია მიწას, სწყურია ხალხს. აი "ასე იყო საძაგორში" — მოგვითხრობს მხატვარი განწყობილებით სავსე ამ ნაწარმოებში.

საქართველოში მინიატურას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა დღეს ამ დარგში თითქმის არავინ მუშაობს (თუ არ ჩავთვლით მინიატურის პირებზე მომუშავე ზოგიერთ მხატვარს). შესანიშნავი ქართველი მინიატურისტი მხატვრის სვერიას მისიაშვილის გვერდით მეტად საინტერესო შემოქმედია მატიადა მღვბრიშვილი. მინიატურებზე მუშაობა მხატვარმა ჩინეთსა და ირანში დაიწყო. ამან გარკვეული კვალი დააჩნია მხატვრის შემოქმედებას. რის გამოც მას შემდეგში გაუძნელდა მინიატურებში ქართული ნაციონალური სულის შთაბერვა.

მატიადა მღვბრიშვილი მინიატურების რამდენიმე სერიის ავტორია, მათ შორის ადრინდელია ნამუშევრები ჩინური სტილით: "თესვა", "მკა", "ბაზრობა", "ხმის მიცემა ჩინეთში" და სხვ. ეს ნაწარმოებები ყურადღებას იქცევენ როგორც თემატიკის აქტუალობით, ისე დახვეწილი ტექნიკით. დეტალებს ფაქიზი დამუშავებით და მინიატურისათვის ჩვეული დეკორატიული სტილით.

გამოფენაზე იშვიათად თუ ვინმე ჩაუვლიდა გულგრილად ახალგაზრდა მხატვრის ბელა ბერძენიშვილის ნამუშევრებს, რომლებიც თავისი სიფაქიზით ქართული ხელსაქმის უნიკალურ ნიმუშებს გვაგონებენ. ეს შედარება შემთხვევითი არ არის, რადგან მისი ნამუშევრები შესრულების მანერით ხშირად ქსოვილებისა თუ საქარგობათა ილუზიას ქმნიან.

მხატვრის შემოქმედება ხასიათდება ფრთა თავშეკაცეული გამით, დახვეწილი გემოვნებით და დეკორატიული ფანტაზიით, მაგრამ ზოგ შემთხვევებში მხატვარს შინაარსის სიღარიბე და ბავშვის ერთგვიანობა ხელუდას. მის ნამუშევრებში თორღება სენტიმენტალობით აღსავსე ქალთა დარღმებულ ფიგურები, რომლებიც ძველი ჟრნალების ილუსტრაციებს მოგვაგონებენ. სასიხარულო მოვლენა წარმოადგენს ბელა ბერძენიშვილის ორი ახალი მინიატურული პეიზაჟი და განსაკუთრებით ქართულ კოლორიტში აღებული ორი ნატურმორტი. გრაფიკულ ნამუშევართა შორის გამოირჩეოდნენ აგრეთვე დამარა და დანელიას ნატურმორტი — "სათამაშობები". მკაფიო სუბტი, ლაკონური ფერები და მოხდენილი კომპოზიციები საუბრის მხატვრის, რომ მისი ნატურმორტების სერია აღბეჭდვით გაერთიანდეს და ბავშვებს ელდნას.

პირველი ქართველი მოქანდაკე ქალბატონი არიან ნინო წერეთელი, თამარ აბაქელია და ელენე მაჩაბელი — იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის ნიჭითი მოწაფეები.

ნინო წერეთლის შემოქმედებამ ვერ მისწორი სრული ძალი გაუფრთქნა. მხატვარი მეტად ადრე გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მის დარჩა ნამუშევართა საკმაო



ტ. კაკაბაძე შვილის პორტრეტი

რაოდენობა, უმთავრესად პორტრეტები, რომელთაც, სამწუხაროდ, გამოფენაზე მხოლოდ სადრო ინაშვილის პორტრეტი იყო წარმოდგენილი.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თამარ აბაქელიამ თავის მრავალფეროვან შემოქმედებაში ერთგვარი შერწყმა მოახდინა გრაფიკის, ფერისა და ქანდაკების მხატვრული კანონებისა. მხატვრის მრავალრიცხოვანი გრაფიკული ნამუშევრებიდან გამოფენაზე მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო ექსპონირებული. მათ შორის ვაჟას პოემების ილუსტრაციები, რომელთა ზადალი ქართულ სახვით ხელოვნებაში ჯერჯერობით არ შექმნილა. ყურადღებას იქცევდა მინიატურისაკენ ფაქიზი დამუშავებული ესეიზ კოსტუმის ფაფქისათვის "დავით გურამიშვილი" (ქთვეანის კლემამოსილი სხვის) და ულტრესად დინამიური, მეკრული კომპოზიცია "ბედნიერი ოჯახი" — ქართული სამკოთა ოჯახის ბედნიერებისა და სიხარულის განსახიერება.

პეროიკული პათოსი და ფაქიზი ლირიზმი, თანამედროვეობის შეგრძნება და ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნა, რეალიზმი და უმერტი ფანტაზია, შემოქმედების მკაფიო ნაციონალური ხასიათი და ხელწერის თავისებურება — აი რითი ხასიათდება ეს მხატვარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ოსტატობა კომპოზიციის დარგში, რაზეც უპარად მეტყველებენ მხატვრის როგორც სკულპტურული, ისე გრაფიკული ნამუშევრები.

თუ გავივალისწინებთ, რომ ქართული ქანდაკებაში დღეისათვის ნაკლებად მოგვეპოვება რთული მრავალფეროვანი კომპოზიციები, თამარ აბაქელიას მიერ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ შესრულებული მონუმენტური, რიტმით აღსავსე "კოლომურის ოჯახი" უთუოდ იმსახურებს იმას, რომ ბრინჯაოსაგან ჩამოსხასა და დაიდვას სათანადო ადგილას, სიფლად თუ ქალქად.



საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ელენე მარაბული მრავალ საინტერესო ქანდაკების ავტორია. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან გამოირჩევა „ახალგაზრდა ქალის“ ღირი-კული და კოსტრუქტული პორტრეტი, რომელიც ისტატურ-ხანათი მოდერული და კარგად ავლენს ქალიშვილის სასაათს. ყურადღებას იქცევდა აგრეთვე ფიგურა „კალთბურთიული ქალი“.

მოქანდაკე ნელი ალექსიძის ნამუშევრებს გამოფენაზე 1950 წლიდან ეხეცებით. საინტელიუო გამოფენაზე გამოტანილი ნ. ყიფშიძის პორტრეტი (მარ-მარო) მტკად მეტყველ სახეს წარმოადგენს. ნელი ალექსიძის ნამუშევრებიდან საყურადღებოა აგრეთვე ქართული საბალეტო ხელოვნების ისტატუა კანერული ფიგურების სერია. მოქანდაკე კარგად გრძობს პლასტიკურ ამოართბებს, ცვევის რიტმს და დამახასიათებელ ილეთეების რინამბუსს. ამ სერიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ჭაბუკიანის, ი. ალექსიძისა და ზ. კიკელაშვილის ქანდაკებები.

მოქანდაკე ეთერ კაკაბაძეს ეკუთვნის რამდენიმე შესანიშნავი პორტრეტი და რთული კომპოზიციური ნამუშევრები. გამოფენაზე იყო ადრინდელი ნაწარმოებები — ნინო ღუმბაძის, მენდაჯავახიძის, ნანა დამბაშინის პორტრეტები. ეთერ კაკაბაძის ნამუშევრები ჩანს შემოქმედებითი აღმავლობა, მიემა. კარგი იყო აქვე გამოფენილი ყოფილიყო მთავრობის სახასიბის წინ დამადგენულად განკუთვნილი ქანდაკებების ესკიზები, რომელთა შორის ერთ-ერთმა მეორე პრემია დაიმსახურა (პირველი არაიის მიერთა). თუმცა არ განხორციელდა.

მოქანდაკე მერე სარალის ნამუშევრები მოწმობენ ავტორის მახვილი ფსიქოლოგიური დეკორაციების უნარს. ამ შრომე ნაკლებ მსყველია მოქანდაკის თბილი, რამდენიმე კომპოზიციის „მისაღელი“, რომელშიც ახალი დამკრებულად ვერ არის განხილული. მოქანდაკე თავიერსულად ფლობს საჭრეთდს, აქვს კომპოზიციის გრძობა. ჩვენს საზოგადოება მისგან უფრო ორიგინალური ნამუშევრებს მოვლის.

ამ ბოლო ხანებში მუყათად მუშაობს მოქანდაკე გუგა მითელი, რომელმაც გამოფენაზე საინტერესო კერამიკული ნამუშევრები წარმოადგინა. მას ეკუთვნის უმთავრესად კამერული ხასიათის ქანდაკებები. მოწონება დაიმსახურა მისმა „კომკავშირელი ქალის რუხაის“ პორტრეტმა.

გამოფენაზე ყურადღება მიიქცია ბატარა გოგონას მეტად მეტყველია სკულპტურებმა პორტრეტმა. ნაწარმოების ავტორი ტატინა კიკაბაძე გრავიუსისა და თუმცა ეს მისი პირველი ცდაა ქანდაკებაში, ამ ნამუშევარში მაღალი პროფესიული შესაძლებლობანი გამოაჩვენა.

ქანდაკებებს შორის იყო ნელი ოქრობერიძის ნაწარმოებებიც, მაგრამ ნაყოფის განსაკუთრებული ყურადღება მისმა მინიატურებმა მიიზიდა. ჯერ კიდევ გასულ წელს, მხატვრის პერსონალური გამოფენიდან გვეყნებით სხვადასხვა ბუნებრივი მასალისგან (კოკ, ფოთლოები, ყვავილები, ხავსი, სხვადასხვა ბალახ-ბუღახი და სხვ.) შესრულებულ ფიგურებს, კანრული ხასიათის სცენებს, ილუსტრაციებს, რომლებიც მოწმობდნენ მხატვრის ნიჭს, იუმორს, დეკორაციულ დიდ უნარს.

ბუნებრივი მასალისგან ქმნის ნაწარმოებებს მხატვარი ნ. ანათაძე, მაგრამ მისი თემატიკა უფრო შეზღუდულია, ზღაბრებით იფარდება და მოქალაქისა იუმორისა და ნაციონალური იერს.

გამოფენაზე ბევრმა მიაქცია ყურადღება ზეთის ფერებით შესრულებულ სამ ბატარა აკადემიურ ნატურმორტს, რომელთა ავტორი კლარა კვეციანი, როგორც მხატვარი

უმაჯავსობისათვის უცნობი აღმოჩნდა. თუმცა ნამუშევრთა შორის შესრულებილი წლები ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი რამდენიმე ათეული წლის წინათ არიან შეყვრილი. ეს მდგომარეობა ცხადია, არ ცვლის ჩვენს შეხედულებას ამ ნამუშევრებზე. მათ მხატვრულ ღირებებაზე. მხატვარი ფერებს მწუნვალ — ხმარობს, ავლენს ფერწერის ტექნიკის კარგ ცოდნას. გემოვნებს, მოცულობის რეალური წარმოსახვისკენ სწრაფებს და, რაც უმთავრია, უზარალო საკნების მხატვრულად ამღერებს უნარს.

ეკვსი იმ მხატვართა რიგებს ეკუთვნის, რომლებიც თავისი ნიჭითა და უნარით მუხეუბნებსა და მეცნიერებას ემსახურებიან, რის გამოც ისინი უფრო საზოგადოებრიობისათვის ხშირად მუშაწინეველი რჩებიან. ასეთი მხატვრები არიან აგრეთვე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ნინო ბრაიალშვილი და ბეატული თუ ვაკაბუნიანი, მხატვარი — სოფრო მირზაშვილი, ტატინა შევიაკოვა, ირინე თუმანიშვილი და სხვ.

დიდი დავაკირდებით თითოეული ამ მხატვრის ფაქტ ნამუშევარს — მინიატურისა და ფრესკის პირის ძველი ქართული მეტელებიდან, სათელი ვახტანგ ბაგრატიონის მხარდასაბრუნელი, რამდენი ცოდნა და გემოვნება ჩაქსოვილი და ავსუსებულ შემოქმედებაში.

განსაკუთრებით ვესურს შევეხები ნინო ბრაიალშვილის შემოქმედებას. მას დიდი დავალი მიუძღვის საქართველოს ეთნოგრაფიის დოკუმენტური შესწავლის საქმეში. მის შესანიშნავ ქართულ თოხნებზე არაერთხელ მიუღიათ ჯილდოები, ყოველთვის მოხიბნილი არიან და ქართულ ნაციონალური იერს ატარებენ. ნინო ბრაიალშვილი კარგად იცნობს ბავშვებს. ამას მის მიერ საბავშვო წიგნებისათვის შესრულებული ილუსტრაციები მოწმობენ. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან თვალსაჩინოა აგრეთვე ვრავილული პორტრეტები. „მოხანავე ქალი“ და სხვ.

ქართველ კერამიკოსთა შემოქმედებიდან თანდათან იდევნება უკეთესო, დეკორატიულიად პურბულული. ხშირად დანიშნულების მუშევრებულად ავტორებულნი საკნები: ტიგურსარებიანი, დიდი ზომისა და ყოველგვარ პროორებიც მისრულებული გამოუყენებელი ყურადღებით, საინოურებიც და სხვ. სამაჯიგროდ უფრო და უფრო გზა ეთმობა კერამიკის სადა, მაგრამ მოხიბნილი ფორმებს, ფერების თავშეკავებულ გამას, ზომიერად გამოყენებულ დეკორს და მის მავთო ნაციონალური ხასიათის. ამ მდომარეობის ხელს უწყობს კერამიკოსთა მიერ ახლად შემუშავებული ტექნოლოგიც, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. მხატვარ-კერამიკოს ქალთა ხსენი მძლეობი კადრა ჰყავს ამჟამად ქართულ კერამიკულ ხელოვნებას, რომელმაც უკვე შორს გაითქვა სახელი.

გამოფენაზე წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმოებთა შორის გამოირჩევიან ქატარეი ე. ბაბლიძის, ნინო კიკნაძის, ქუჭუხია ფრხიძის, ირინე ვაკარელიძისა და სხვათა ნამუშევრები.

გამოფენაზე სათანადო ადგილი ვერ აღეთმოთ თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობას, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მხატვარ კატარეისს.

ჩვენი ქვეყანა დიდ აღმავლობას განიცდის და კიდევ უფრო გრანდიოზული მიღწევების წინაშე დგას. სახელი, რომ დიდად მოეკრებებს შესატყვისს ფუნჯი და საქართილი სიჭრელმა, მაგრამ თუ დღეისათვის ჩვენი მხატვრები კვლავ ვალში არიან ეპოქის წინაშე, ამჟამად ჩვენი სახეთი ხელოვნების მტიკიც საფუძლიდან გზა შემოქმედების ახალი მწვერვალებისკენ მიდის.



უკ. ბაღდაძე

ვასილ-ნენბა

სიცილის ძირითადი სახეები

ალექსანდრე ქუთელია



1. იუმორი

უმორი სიცილის ერთი რთული და თავისებური სახეა. იუმორის სირთულე და თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალზე მდიდარია იდეური შინაარსით და მრავალი ელფერის შემცველია, რომელთაგან თვითელი თავისებურად გამოხატავს ცხოვრების მოვლენებს. იუმორი სიცილის ისეთი სახეა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის მსოფლმხედველობასთან და ასეარად გამოხატავს მის მორალურ შეგებებას და სულიერ განწყობილებას. ამიტომ იუმორი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს უბრალო, მსუბუქი და უიდეო სიცილისა ან ხუმრობისაგან, რომელთაზეც მას ზოგჯერ აიკვირებენ.

არც ანტიკურ ქვეყანას და არც შუა საუკუნეებს არ გამოუყვიათ იუმორი, როგორც სიცილის თავისებური სახე და არ შეუმუშავებიათ მისი თეორია, ეს არც XVIII საუკუნეშიც მოხდა.

ბურჟუაზიულ ესთეტიკაში იუმორის პრობლემა, მიუხედავად გამუდმებული ყურადღებისა, მეტად ახუნელი და დამახინჯებულია. პირველად იუმორის გაშლელი თეორია ეს პოლმა წამოაყენა. ეს თეორია პასიური, იდეალისტური რომანტიზმის პრინციპებს მოასწავებდა, და მან ფართო გავრცელება მოიპოვა ბურჟუაზიულ ესთეტიკაში.

ეს პოლი იუმორის განსაზღვრავს, როგორც რომანტიკულ კომიკოსს; ხოლო იუმორისტს თვლის კომიკურის რომანტიკოსად; იუმორი მან გამოაცხადა კომიკურის მთავარ ფორმად, ხოლო მის ნამდვილ სფეროდ-რომანტიკულად თვლიდა. მისი აზრით, იუმორში იხატება რომანტიზმის მსოფლმხედველობა და მსოფლმხედველობა; ამ მსოფლმხედველების და მსოფლმხედველობის ძირითად ელემენტად ეს პოლი დაუსრულებლობის პრინციპს და ცხოვრების კონტრასტს და არარაობას აღიარებს. ხედავს რა მთელი ქვეყნის უაზრობასა და არარაობას, რომანტიკოსი უსასრულობისა და ღვთაებრიობისაკენ მიისწრაფვის.

რომანტიკული იუმორი ტოტალური, საყოველთაო ხასიათისაა. მისი ტოტალობა იმაში მდგომარეობს, რომ არ ცნობს ცალკეულ სისულელეს ან ცალკეულ სულელს. მისთვის სისულელე საყოველთაო და მთელი ქვეყანა განხორციელებული სისულელება. ახასიათებს რა რომანტიკულ იუმორს, ეს პოლი წერს: „... მისთვის არ არსებობს ერთელი სისულელე. ერთელი სულელი; არსებობს მხოლოდ სისულელე საერთოდ და უგუნდოელი ქვეყანა“¹.

რომანტიკულ იუმორს მცირე აკავს დიადამდე, დიადი კი დაკავს მცირემდე, ამით სიბოის პირველესი და მცირესი წინაშე ყველა მოვლენა და საგანი თანაბრად იქცევა არარაობად. ამის მიხედვით, ეს პოლი ანსხვავებს იუმორის პაროდოსსა და ირონიისაგან. აღნიშნული დებულების შემდგომ ავტორი განაგრძობს: „ჩვეულებრივ ხუმარათაგან და მათი ჯვერდული დარტყმისაგან განსხვავებით, იუმორი არ წამოწვევს ცალკეულ სისულელეს, არამედ ადაბლებს დიადს, რათა პაროდოსისაგან განსხვავებით მას ჯვერდით ამოუყვანოს მცირე, და ამაღლებს მცირეს, რათა — ირონიისაგან განსხვავებით, — მას ჯვერდით ამოუყვანოს დიადი და ამრიგად ორივენი მოსპობს, ვინაიდან უსასრულოს წინაშე ყველაფერი თანასწორია და არარა“².

ამ ნიშნის მიხედვით ეს პოლი ანსხვავებს იუმორს არა მარტო პაროდოსსა და ირონიისაგან, არამედ სატირისაგან. ჩვეულებრივი სატირიკოსი, მისი სიტყვით, იუმორს თითო ოროლა სისულელეზე უფ ლელომას და მას სამარცხნო ბოძზე აკრავს, უნებს მას, ლაყე კვერცხის მაკვირად, შეკაზმულ მონაჭორს. იუმორისტი კი ცალკეულ სისულელეს იცავს, ხოლო სამარცხნო ბოძის ჯალათს და მასთან ერთად ყველა მაყურებელს აპატიმრებს, რადგან მის შინაგან სამყაროს ეცება არა ცალკეული სისულელე, არამედ ზოგად-საეკონომიო სისულელე“³.

ადარებდა რა ერთმანეთს ცხოვრების ცალკეულ, გარდა-მაკულ მოვლენებს და დაუსრულებელ, მარადიულ იდეებს, რომელთა წინაშე ეს ცალკეული და გარდამავალი მოვლენები ასე უფხად და უსუსურად გამოიყურებიან, იუმორისტი იმსჯელებდა გრძნობით, რომელიც ერთდროულად შეიცავს კომიკურს და სერიოზულს, მწუხარებას და სილიადს. იუმორი თავისი ორმაგი ბუნების გამო ათბობს და თანაც აცივებს ადამიანის გულს ან, როგორც თვით ეს პოლი იტყვის, იზიდავს ადამიანს ორთქლიან აბაზანაში, რომელიც აღდურავს მგრძნობიარე განწყობილებას და იმავედროს აყენებს მას სატირის ცივი შხაბის ქვეშ. იუმორის ამ ორმაგობაში ეს პოლი ნაკლს კი არა, მის დადებით თვისებას ხედავს. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი სიტყვით, „ცხოვრება ერთ დევიზ კოტურსს (ანტიკური თეატრის ტრაგედიული აქტიორის მალექსულაინი სანდღეობა — ა. ქ.) ატარებს, მეორე დევიზ კი „სოკრატის“ (ანტიკური კომიკური აქტიორის დაბალი ფესხცემლია, — ა. ქ.) ცხოვრებას უყვარს, დასძენს მას, რომ სამნიველოს გამოხატავს ერთ სუნთქავში აერთიანებდეს სიცილსაც კომიკოსსაც. მეორე მხრივ, სწორედ იმის გამო, რომ იუმორი ცხოვრების გვერდით შეიცავს სერიოზულს, მწუხარებასთან ერთად — სილიადს, ის ძლევა ცხოვრების სიღუბნირებას და ამაოლებს, სახავს ზუსს ზეცისაკენ. ეს პოლი რომანტიკულ იუმორს ადარებს მიითურ ფრინველს — ნეროსს, რომელიც უკლდით ცისაკენ მიფრინავს და ამასთან ისე, რომ მიწას არ ჰკარავს მხედველობიდან“⁴.

ეს პოლის თეორიის წინააღმდეგ ესთეტიკის ზოგიერთი ავტორტიკოსის მიერ წამოყენებული იქნა რიგი აღნიცებული და სამართლიანი კრიტიკული შენიშვნების პინიშნული იყო, რომ თუ კომიკურსა და იუმორის შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველს სასაცილოდ მიანიშნა ცხოვრების ცალკეული მოვლენები, ხოლო მეორეს — მთელი ცხოვრება, მაშინ მათ შორის განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივია და არა თვისობრივი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი მოსაზრება: იუმორისტს მთელი ქვეყანა სისულელედ მიანიშნა, და მისი მოკრძალება, მოთმინება და შეწყნარება, რომელსაც ეს პოლი ასეთ მნიშვნელობას აძლევს, დაკავშირებულია ამ სისულელით აღსაყენ ქვეყანასთან. მაგრამ იხილება კითხვა, რა ფასი აქვს ასეთ მოკრძალებას, მოთმინებას, შეწყნარებას და თანაგრძობას?

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ჰეგელს არ ესმოდა იუმორი და ამის გამო ვერ იტანდა, ვერ იგებდა ეს პოლის. იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ ჰეგელისთვის ვაუგუზარი და მიუღებელი იყო იუმორი, იმაზე მიუთითებენ, რომ იუმორი ცერდნობა და იკვეება ქვეყნისა

¹ I. P. Richter. Vorschule der Aesthetik, § 32, Sommtliche Werke, B. 42, Berlin, 1827, გვ. 166.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 172.

და იდეალის უნივერსალური კონტრასტი, დისპარმონიით მაშინ, როდესაც გერმანული ფილოსოფოსი იმას ასახელებდა, რომ „ყოველდღე რაც ნამდვილია, ვიწროება, და ყოველდღე რაც ვიწროებაა, ნამდვილია“. არსებობს მეორე მისაზრება, რომელიც, პირიქით, ჰეგელს და მის სკოლას იმას უსაყვარლებს, რომ მათ იუმორი შედგებულ და დაფასეს, რადგან მასში დანახეს, წინააღმდეგობის განხორციელება, წინააღმდეგობის, რომელსაც ისინი აღიარებდნენ ჭეშმარიტების პრინციპად.

ჰეგელი რომანტიკული იუმორის ძირითად ნიშანს მის სუბიექტურობაში ხედავს. რომანტიკული იუმორის, მისი აზრით, არა თუ არა აქვს მზნადა გასასხად და გამოსატოს მოვლენის ობიექტური შინაარსი მისი არსებითი ბუნების შესაბამისად, არამედ ის მიმართულია იმისაკენ, რომ მოსხის ეს ობიექტურობა და დამაკვივროს შეუზღუდველი სუბიექტურობა და თვითნებობა, ამ იუმორში ხელოვნების პიროვნება, მისი სუბიექტური უნარი და მიდრეკილება, ენება და ვინც მთავარ და გამსაზღვრელ ძალად გამოიხს. ასეთი სუბიექტივიზმი შინაგანად არღვევს და სძობს მოვლენის ობიექტური შინაარსის, მის დაბოუვიდებლობას და სიხარულს, ამკვიდრებს საგნებთან ურთილო თამაშს, მასალაა არჩევს და უთავბოლო ხეტიალს. ჰეგელს ჟან პოლი ამგვარ სუბიექტური იუმორისად მიიჩნევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰეგელი ამასთან ლაბარაკობს რომანტიზმის ობიექტური იუმორზე. ეს „ობიექტივიზმი“ იუმორი მაშინ წარმოიქმნება, როცა წარმართვის, მისგან განუყოფელი სუბიექტური ასახვის ფარგლებში, წყდება აგრეთვე საგნის და ამ გზით ახერხებს გარკვეულ შესვლას საგნის ცხოვრებაში. მაგრამ ასეთი „შესვლა საგნის შინაგან ცხოვრებაში“ შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილობრივი და ის, რაც ჩვენ შევიძლია ამგვარ წარმართება რიცხვს მივაყოფთ, ჰეგელის სიტყვით, „წარმოადგენს მხატვრის სულის გარშობად მიმდრება საგანში“. რომანტიკოსი მხატვრის ეს „სულის გარშობად მიმდრება საგანში“ არსებითად სუბიექტივია და ის ინარჩუნებს სუბიექტივიზმისათვის დამახასიათებელ თვითნებობას, ფანტაზიას და კაპრიზს, თუმცა წარმოადგენს ჭეუვის ისეთ შინაგან მოძრაობას, რომელმაც თავი საგანს მიანდო და ის თავის შინაარსად გახადა. ამიტომ თვით ჰეგელი მას უწოდებს „ვითომცდა ობიექტურს“ და არა ნამდვილ ობიექტურს. ეს „ვითომცდა ობიექტური“ არსებითად სუბიექტურია, რადგან მისი „ობიექტურობა“ ამ ცოდვება სუბიექტის ფარგლებს.

ჰეგელისათვის, როგორც ობიექტური იდეალისტიკისათვის, ასეთი სუბიექტივიზმი გაუმართლებელი და მიუღწეველი სფერო, იგი რომანტიზმის იუმორის სუბიექტივიზმის კონტრასტს აწარმოებს ობიექტური და დიალექტიკური იდეალიზმის თვალსაზრისით, რომელიც სამყაროს რაღორ არსებობასთან ერთად მისი განვითარების კანონზომიერებას აღიარებს. ამ თვალსაზრისით ჰეგელის მიერ წარმოებული კონტრასტი რომანტიზმის სუბიექტური იუმორისა, უდავოდ, შეიცავს დაღვბობს და საყურადღებო მომენტებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ გამორჩეულ ფილოსოფოსის თავისი ობიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით არ შეუძლია დაეძლია კონსერვატიული რომანტიზმის იუმორის სუბიექტივიზმი. კიდევ მეტი. მიუხედავად აღნიშნული კონტრასტული მნიშვნელობისა, ჰეგელი არსებითად იზიარებს კონსერვატიული რომანტიზმის იუმორის ერთ-ერთ ძირითად დებულებას — იუმორის შემარჩევლად და შემაწინაგრებლდ ხასიათს. თუმცა ჰეგელი აღნიშნავს, რომ რომანტიზმი თავისი სუბიექტივიზმის, გაორებისა და უთანხმოების გამო, ვეღარ აღწევს იდეალს, რომელშიაც სუვერენ ნათელი სიყვარულ და ცმაყოფილება, იგი მინც ამტკიცებს, რომ რომანტიზმში არის რაღაც სულიერი სინაზე, რომელიც ამშვიდებს და ატკბობს ამათიან. რომანტიზმში, ჰეგელის სიტყვით, სახიერება, „სიხარული ზღაღას დაპირიღებაში, ნეტარება მწუხარებაში და სიმთავრება ტანჯვაში“. ჰეგელის აზრით, ეს საერ-

თოდ რომანტიკულ ხელოვნებაში, (გრემლიან ღიმილში) მათ მოიხატება. „ცრემლი მიუთითებს მწუხარებაზე, ღიმილი ნათელ სიყვარულზე, და, ამრიგად, ღიმილი სიცილიმ ნიშნავს იმ შინაგან დამშვიდებას, რომელსაც განვიცდიო ტანჯვისა და წაშენის დროს“⁷.

ამრიგად, ჰეგელი არსებითად ამართლებდა და იცავდა იუმორის შესახებ კონსერვატიული რომანტიზმის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვით იუმორი ისეთი გრძნობაა, რომელსაც მწუხარებებთან გამოცემა ნეტარება შედგება — სიამოვნება. ეს დებულება ბურჟუაზიული-იდეალისტური ესთეტიკის მთავარ დებულებადაა გადაქცეული.

მოლიანად რომანტიზმის სუბიექტური იუმორის ჰეგელი „ჭეშმარიტ იუმორს“ უპირისპირებს; იგი წერს: „ჭეშმარიტი იუმორისათვის, რომელსაც სურს აიცილოს ასეთი გადახვევა და დამახინჯება, საჭიროა დიდი სიღრმე და სიმდიდრე სულსა“⁸.

თუმცა ჰეგელი ამ „ჭეშმარიტ იუმორს“ რომანტიკოსების სუბიექტური იუმორის უპირისპირებს, მაგრამ საკუთრივ ამ „ჭეშმარიტ იუმორში“ ფილოსოფოსი კონსერვატიულად არაფერს ამბობს და იმის აღნიშვნას გუარდება, რომ „ნამდვილი იუმორი ყოველთვის იშვიათად ვხვდებით“⁹.

ჰეგელი საგანგებოდ არ ჩერდება არც დაპირისპირებასა და არც წინააღმდეგობაზე, როგორც იუმორის საფუძვლასა და მიზეზზე. ამ პრინციპს რასაკუთარიღი უყრადღება მიაცქია არა ჰეგელმა, არამედ მისმა სკოლამ, კერძოდ, ფ. თ. ფიშერმა და მემარცხენე ჰეგელიანებმა ადოლფ რუგემ, რომელიც თავისი მასწავლებლისაგან განსხვავებით, დიდად აფასებდა ჟან პოლის და ძლიერად განიცდიდა მისი ესთეტიკური თეორიის გავლენას.

იუმორის განხილვა, როგორც შემარჩევლად და მორჩილების გრძნობისა, ტრადიციულად ცქველი თითქმის მთელ ბურჟუაზიულ ესთეტიკაში. კიდევ მეტი, ზოგან კონსერვატიული რომანტიკოსების კვლადობა, იუმორში ხელაღერ რელიგიური მსოფლმხედველობის გამოხატონებასა და მის გონიერულ რელიგიად აღიარებენ.

ასეთია, მაგალითად, მ. ლაზარუსის შეხედულება¹⁰. ლაზარუსი იმით იწვევს, რომ იუმორს აღიარებს გარკვეულ მსოფლმხედველობად. ის მსოფლმხედველობაა სამ სახეს არჩევს: 1) უპირისპირებს, რომელიც განვითარების დაბალ საფეხურს შეუფარდება და შემდგომ მატერიალიზმში გადადის; 2) განსჯითს და 3) კონვირციის ანუ ფილოსოფიურს, რომლის ძირითადი ნიშანია რწმენა ზოგად იდეების შემოქმედების ძალისაგან. ლაზარუსი, როგორც იდეალისტი, რა თქმა უნდა, მოლიანად ამ უსაქსეველ, ე. ი. იდეალისტურ მსოფლმხედველობას იწინაებს და იზიარებს, მაგრამ მას საჭიროდ მიიჩნევს მისი გაგრძობა და განტყვეობა, ამ მიზნისათვის ის მიმართავს უფრო, ამ მიმართულებით საქმე იქამდე მიდის, რომ იდეალისტი ლაზარუსი იუმორისტულ მსოფლმხედველობას იდეალიზმში მალა აყენებს.

ლაკარუსი რელიგიას იდეალისტური ფილოსოფიის წინაშე იმ უპირატესობას აძლევს, რომ რელიგიას, მისი სიტყვებით, როგორც უშუალო ხილვას და გამოცხადებას, პირდაპირ მიჰყავს ადამიანი ღმერთის, როგორც უშუალოდ არსების, შეგრძობად. რაც შეეხება რომანტიკული იუმორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ლაზარუსის აზრით, რომანტიკული იუმორი გრძნობას ცხოვრების გარღვეულ კონტრასტსა და წინააღმდეგობას გარდამაველ სინამდვი-

⁷ იქმნ.
⁸ Гегель, Сочинения, т. XIII, стр. 162.
⁹ Гегель, Сочинения, т. XII, стр. 304.
¹⁰ M. Lazarus, Das Leben der Seele., B I, Berlin, 1917, стр. 231-232. ლაზარუსის შეხედულებას ისეთი ვიწროება მოჰყოლებს ბურჟუაზიულ ლიბერალიზმში, რომ ერთმან ატკობს. ა. პორფელმან, შესაძლებლად მიიჩნია მისი მიხედვით განგებარება იუმორის ცნება ბოკაპოუსს და ეფრონის ენციკლოპედურ ლექსიკონში (ტ. 6, 81).

⁵ Гегель, Сочинения, т. XIII, Москва, 1940, стр. 169.
⁶ Гегель, Сочинения, т. XII, Москва, 1938, стр. 162.

ლესა და უსარსულო იდეას შორის, უსარსულოს დასრულებულს უპირისპირებს, იდეალს—რეალობას, გონიერს—უგუნურს, ღიას—მცირებს და ამათ მეტად საგარანძობად ხლდის მათ შორის არსებულ კონტრასტსა და წინააღმდეგობას. მაგრამ ის ამის შედეგად არ გამოხსნის და არ ციხვავს დასრულებულს, რეალურს, მცირეს და უგუნურს. ბირკით, ის იმსჯელებს მათადმა თანაგრძობითა და იცინის მათზე, იმ კეთილგანზრდილი სიცილით, რომელიც გამოსჭვავის შერიგება და მიტევება. უსარსულო იდეისადმი, აბსოლუტისადმი დაუდგომელ მიწყრავებათან ერთად, რომანტიკული იუმორი თანაგრძობითა და შეწყნარებითა გამსჭვალული ცნობერების გარდასავალი, უსარსულო და მცირე მოვლენებისადმი.

ლაკარუსის აზრით, იუმორი წარმოიშობა ამაღლებულის და სასიკეთოს შორის არსებული კონტრასტის გაღივებული დასაქისბირებით, მაგრამ იუმორში ამ გამოკვეთილ კონტრასტულ მხარეებს არა აქვთ აბსოლუტური და გარდაუვლი ხასიათი, ისინი იუმორში თანარსებობენ. იუმორი ერთდროულად შეიცავს კონტრასტულ და სპირისბირთა გრძნობას. ლაკარუსი წერს: „ღმერთი და სამყარო, ნათელი და წყვედილი, ორწუხილი და არამინი ერთი ტინარით გაყოფილი მეზობლები არიან იუმორის სულისა და ტვინის უჯრედებში. ხან გული მისწრავს შუაერთის ის, რაც თავმა ვაკყო, ღმერთი და სამყარო, ღლი და პატარა; ხან კი თავი ცილინის შუაერთის ის, რაც გულშია გაყოფილი. — სიყვარული და სიძულვილი, კეთილი და ბოროტული. ეს არის სწორად ის მსოფლმხედველობა, რომელიც რეალური და იდეალური ერთმანეთს ადვილსა და უპირატესობას ეცილებიან, რომელიც ერთი ზევით ადის, მეორე კი ძირს ჩაშობის გრძობის კიბეზე. მაგრამ რაც უფრო ნაყოფ შეესაბამებია ისინი ერთმანეთს. მათი ეს სიყვარუა კავშირისაკენ იწვევს ან ნაღლიანს. ან მხიარული სიცილს, ან ორივეს კავშირი იწვევს იუმორისტულ ვაკილვას, ან ხუმრობას. ამ აზრით, ერთი მხარე ბერნემ, მარათლია, ცალმხრივად, მაგრამ მაინც ფაქიზად იგრძნო, როცა განაცხადა: „იუმორისტმა სატურისი ფეხებს ხუნდები მოაკლდა, მონას ბატონის ქუდი დახარვა და სატურნების ლხინი გამოაცხადა, რომელიც სული ემსახურება გულს, ბოლო გული სულს დასცინის“¹¹.

ლაკარუსი მკაცრად ამორებს იუმორს, როგორც მსოფლმხედველობას, მეცნიერებას, სამაგიეროდ უახლოვებს მას რელიგიას, რომლის თავისებურებას იმაში ხედავს, რომ ადამიანი გრძნობს თავისთავის და ცხოვრების მაცდურობას, ღმერთის წინაშე მათი მიუტევებელი ცოდვის გამო; იმავე დროს სულდამუშობს და აღფრთოვანებულია იმ გრძნობით, იმ რწმენით, რომ ცხოვრობს ღვთის მიერ განკითხულ ქვეყანაში, მისწრავს ყოფის შემდეგ და ყოვლად კეთილი ღმერთისაკენ და უახლოვდება მას. ლაკარუსის აზრით, ამაგარი, ორმავე გრძნობითა გამსჭვალული იუმორი. იუმორი ხედავს ცხოვრების მაცდურობას და თავისი მაღალი იდეების განუხორციელებლობას და ამის გამო გული ევსება უწილით, უძლურობის გრძნობით და გამარჯვება ხასლის, თავისთავისადმი პატივისცემისა. იმავე დროს ის სასეკარწმენით, რომ ფლობს მაღალ და დასურბლებულ იდეას და ემსახურება მის განხორციელებას. ამით ლაკარუსი იუმორს რელიგიას უახლოვებს და რელიგიად აცხადებს. ეს არის, — წერს ლაკარუსი იუმორზე, — რელიგიად და მით უფრო უქვეყნალ რელიგიას, რომ აქ აზრები იმავე რთოვლად გამსჭვალულია უღრმესი გრძნობათა ძალით. მაგრამ იგი არის აგრეთვე სულის რელიგიას, რადგან იგი აყვებს თავისი არსებობის წესსა და ზომას არა გარედან, არა ბნელ წარმოდგენებსა და გრძნობებში, არამედ თვით სულის იდეიდან!“¹²

ლაკარუსი იუმორს, როგორც რელიგიის მსგავს მსოფლმხედველობას, არ აკუთვნებს არც ცალკეულ ლიტერატურულ სახეს, როგორცია სატირა, და არც რომელიმე ესთე-

ტიკურ კატეგორიას, როგორც არიან კომიკური და ამაღლებული. იგი იუმორში კომიკურის და ამაღლებულის შეერთებას ხედავს; მისი სიცილი, იუმორი ამაღლებულ-კომიკურია. ლაკარუსი შეუძლებლად მაინა იუმორის, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის, ყოველგვარი შეერთება სატირასთან, რომელიც თავს ეცხმის საზოგადოების წყურვლას და მანკიერებს, საქვეყნოდ გამოხსნის და კიციხვავს მათ. ლაკარუსის ტრეკეცებით, იუმორი სატირას ამ ძირითად ამოცანის საწინააღმდეგოდ რელიგიური მორჩილებას და მიტევებას ქადაგებს.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მუსიკალური ფოლკლორის შესანახელებად და შესანახვლად. ამ საქმეს განაგებს და ხელმძღვანელებს პეტის ეროვნული მუსიკის სამეცნიერო-კლექციითი ინსტიტუტი. უკვე შეგროვებია 20 ათასზე მეტი ფოლკლორული ნიმუში. მუსიკისა დიდი ჯგუფი აწარმოებს მუშაობას უძველესი ეროვნული ინსტრუმენტების რეკონსტრუქციასე და საინტო დაწარმოების განსახე. მუსიკის ისტორიის, თეორიისა და ეთნოტიკის საე-თიხეზე მუსიკის პროექცილად მღიერი და იდურად შოწინავ ჩინელი მუსიკისციოდენტების მეოლა პალადა.

ჩინის მრავალი საუკეთესო შემსრულებელი მკაცრ, ჩვენ კარგდ ვიცნობთ მაღალნიჭიერ, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულ ჩინელ პანისტების ფე ცუნსა და ლოუ ში-კუნს; დიხორბებს; ლი დე-ლუნს, ზუან ი-ცუნი, მომღერებს; ვან-პანს, ლიოუანს, ცუნან იოუ-უნს, თეო ლიან-ჩიის და სხვადასხვა საშემსრულებელი კოლექტივებს.

დღეს მთელი ჩინეთი ჩინელი კომპოზიტორების სიმღერებთან (სია-იუნის „ჩინელი და რუსეთის ხალხები ერთად მოდიან“, ჩან-სინ-იუნის „ჩინეთი და რუსეთი სამარადისო მეგობრები არაა“) ერთად მღერის საბჭოთა სიმღერებს — ვ. მერდლელის „მოსკოვი-სუნიო“, ოსტრაცკის „სალამი ჩინეთს“, ტერენტევის „ილიცია ჩინეთს“, მრავალი ჩინური ხალხური სიმღერა დაუნრუნდა ჩინელ ხალხს საბჭოთა კომპოზიტორების — კიჩენტოვის, ლიანჩიკის, კორჩინაიკის, სინიანოვის და სხვათა ოსტატური დამოშეებით.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში უხუცესმა საბჭოთა კომპოზიტორმა რ. გლიგორმა თავისი ბალეტი „წითელი ყაჟარ“ მიუღწინა ეროვნულ დამოკიდებულობისათვის ჩინელი ხალხს გმირულ ბრძოლას და მის მეგობრობას საბჭოთა აღმამინებთან. საეულისშობა, რომც ეს ბალეტი ამ ეანრის პირველი რეალისტური და მხატვრულად სრულყოფილი ნიმუშა საბჭოთა მუსიკაში. ჩინური ხალხურ თემებზე დაიწერა ბ. ალიქსანდროვის სუტა სიმონიური კონსერტისათვის; თანამედროვე ჩინეთს წარმოგვისახავს კორჩინაიკის კანტატა „თავისუფალი ჩინეთი“, ჩინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას მოუღ-ვენა თავისი კანტატა ვანო შუთაილდმა. ჩინელი ხალხის მუსიკისაში დიდი პატივისცემითა და სიზამათისა შთავიზნებულ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები — ს. ცინციის „ჩინური შინაატრე“ (სიმებიანა კვარტეტისათვის) და ბ. კვერნანის საფორტეპიანო პრე-ლუდია ჩინური თემზე.

ქართველი მუსიკოსები ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სიყვარულითა და ურთაღებთ ავიგებენ თავის ჩინური მუსიკის წინსვლას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ სწრაფად მზარდი, უძველესი ტრადიციებისა და ფართო პირსექტივების მქონე ჩინური მუსიკალური ხელოვნება მოკლდ ხანში ერთ-ერთ თვალსაჩინო და წამყვან ადგილს დაიკავებს მსოფლიო მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიაში.

მ. შიჩინა

მიკეისტები

(ლინოგრაფიურა)





ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში

ლალი გოგიშვილი



ვემო იმერეთის ერთ-ერთი უღამაზესი და დიდი კულტურული ტრადიციების სოფელია დიდი-ჯიხაში. აქედან გამოვიდა მრავალი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე-ტრიფოლიატი შემოიღობილი უზარმაზარი ერის მუხაგულში, ფიქვებას და ძეღქვებს შორის დგას ირსართლიანი ღამაზი სახლი, რომელიც ამ სოფელს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. კარგად მოვლილი ეს კარი-ღამო ეკუთვნოდა გამორჩეულ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ვასილი სასუქის ნ.მ.მ.-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ცნობილ პუბლიცისტს და ჟურნალისტს, ეკონომისტსა და იურისტს ნიკო ნიკოლაძეს. ახლა კი ამ მათავ-სებულად მისი სახლ-მუზეუმი.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ-ჯიხაშიში 1951 წელს გაიხსნა. აქ გამოფენილი 2500-მდე ექსპონატი, კარგად შერჩეული მისი სიტყვები და მოსაზრებანი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ ენციკლოპედიური განათლების დიდი პროფესიის მეცნიერულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მის უსრულოებზე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან, ევროპის პროგრესულ მწერლებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი მდიდარია ნიკოლაძის მშობლებსა და მის ბავშვობაზე მოვითხრობს. ნიკო ნიკოლაძის მამა საქართველოში ცნობილი ვაჭარი იაკობ ნიკოლაძე იყო. ხოლო დედა — დიდ-ჯიხაშიელი თავადის ფირან ლორთქიფანიძის ასული. პატარა ნიკო დიდ-ჯიხაშიში იზრდებოდა. სწორედ დედულუთის სიყვარულმა გადაწყვეტინა მას შემდგომი ამ სოფელში მამულის გაშენება. 1886 წელს ნიკო ნიკოლაძემ შეიძინა 20 ჰექტარი მიწა და დაიწყო მამულის გაშენება საცდელ-საგვენებელი შერუნების მოწყობის მიზნით.

ნ. ნიკოლაძის დედა — ელისაბედ ლორთქიფანიძე საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა. „დედა-ჩემი მშვენიერი მწიგნობარი იყო. მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, მევე სხვა ნაბეჭდ და ხელნაწერ ქართულ წიგნებს მუდამდღე წასაიღვეს უკითხავდა მამაჩემს. ჩვენ ბავშვობიდანვე გვიყვარდა კითხვა“. — ივონებს ნ. ნიკოლაძე. ამავე ოთახში გამოფენილია ფოტოსურათები ნ. ნიკოლაძის დედ-მამისა (შვიდ შვილთან ერთად) და ნ. ნიკოლაძის ოთხი დისა. ესენი არიან ის პირველი ქართველი ქალები, რომლებმაც ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, ქ. ციურხინში მიიღეს.

აი, პატარა ნიკო ქუთაისის 1 გიმნაზიაში. გიმნაზიის პერიოდში ნიკო ნიკოლაძე ბევრს კითხოლობდა. მისი საყვარელი წიგნები იყო — „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „სიმარნე-სიცრუსა“ და სხვ. აქვეა ფოტოსაღი ჟურნალ „ცისკრის“ გარეკანისა, იმ ჟურნალისა, რომელშიც ნ. ნიკოლაძემ — გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფემ — „ქუთაისის მეგობრებს“ ფსევდონიმით მოათავსა თავისი საღებულო წერილი. მასში ახალგაზრდა ავტორი სასტიკად აკრიტიკებდა მაშინდელი ქუთაისის გადაგვარებულ, მემჩანარ საზოგადოებას.

მუზეუმის მეორე ოთახს უყვებ ნ. ნიკოლაძის ცხოვრების ახალ პერიოდში შევყავართ. აქ გამოფენილი ექსპონატები მოვითხრობენ 17 წლის ნიკო ნიკოლაძის გამგზავრებას პეტერბურგში, უნივერსიტეტში სასწავლებლად და 1864-65 წ. წ. საზღვარგარეთ ყოფნის ამბებს.

პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაველოური ოცნების ეშში გამიცვინია. სადაც პირველად აყვავებულა ჩემი გრძობა და იმედი, სადაც პირველად ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს გრძობას და გულს“ — ამბობს ნ. ნიკოლაძე. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ: ილია, აკაკი, ვ. ჭერეთელი, ბ. ლობოზერიძე, კ. ლორთქიფანიძე. ის ის პერიოდი იყო, როცა რუსეთში მწვავედ დაღდა ბატონყმობის გაუქმების საკითხი, ვითარდებოდა კაპიტალიზმში. პეტერბურგი კი წარმოადგენდა ამ მღვდელ-ღირს დროის პროგრესული აზროვნების ცენტრს, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი. ქართველი სტუდენტები ილია ქავჭავაძის მეთაურობით დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ პეტერბურგის ახალი ცხოვრების ფერხულში.

სტუდენტები აწყოდნენ ღვიმნსტრაციებს. ნიკო ნიკოლაძე ამ ამბების აქტიური მონაწილე იყო, რისთვისაც იგი დააპატიმრეს და კონსტანტინის ციხეშიც კი ამყოფეს. პეტერბურგში ვატარებულ დღეებში ნიკო ნიკოლაძის უბედინებრს დღეებად მიმანდა. მუზეუმში გამოფენილი ერთ-ერთ სურათზეა ნიკო ნიკოლაძე კონსტანტინის ციხეში სხვა სტუდენტ პეტერბურგთან ერთად. მეფის მთავრობამ მცირეწლოვანი ნიკო პატიმრობიდან გაათავისუფლა, მაგრამ აუკრძალა პეტერბურგში ცხოვრება. ნიკო საქართველოში არ დაბრუნებულა. იგი არალეკალად კი წერეთელთან ცხოვრობდა. სწორედ ამ დროს დაუახლოვდა იგი ჩერნიშევსკის. მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩერნიშევსკის და ნ. ნიკოლაძის უსრულოებებს ამასახელე მასალებს. ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა. მხატვ. სკოლას ფართო ტილო ასახავს ნ. ნიკოლაძის ვაცნობა ჩერნიშევსკისთან. „ერთი რამ მაკ-

ვირებდა ჩერნიშევსკიში — ეს იყო მისი უზომო რწმენა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა, — წერდა ამ დღი რუსი დემოკრატის ნიჟისა და მოღვაწეობის თაყვანისმცემელი ნიკო ნიკოლაძე.

1868 წელს, იმ დროს, როცა გადასახლებაში მყოფი ჩერნიშევსკის სახლების ხსენებაც კი აკრძალული იყო მეფის რეაქციული მთავრობის მიერ, ნ. ნიკოლაძემ კენჭვაში გამოსცა ჩერნიშევსკის თხზულებების პირველი ტომი და მიხივდა რომანი „რა ვაკეთოთ“. ნ. ნიკოლაძისვე თაოსნობით ჩერნიშევსკი 1882 წელს ასტრახანში გადმოიყვანეს. ამ საითხს ნიკო ნიკოლაძემ მიუძღვნა სტატია: „Освѣдѣженіе Н. Г. Чернышевскаго“, რომელიც პირველად 1906 წელს დაიბეჭდა.

1864 წელს ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. მუზეუმში გამოფენილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ნ. ნიკოლაძის საქმიანობაზე საზღვარგარეთის ქვეყნებში 1864-68 წლებში.


1868 წელს ნ. ნიკოლაძემ წარჩინებით დაამთავრა ციურის უნივერსიტეტი და წარადგინა სადოქტორო დისერტაცია: „განაჩრადება და მისი სოციალ-ეკონომიური მიზნელობა“. ამ შრომისათვის, რომელიც ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი, მას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

1865 წ. ნიკო ნიკოლაძე უახლოვდება ცნობილ რადიკალურ მოღვაწეს პოლ ლაფარეს, რომლის მეშვეობითაც იგი გაეცნო მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელს კარლ მარქსს.

1869 წლიდან ნიკო ნიკოლაძე საქართველოშია და აქტიურად მონაწილეობს თავისი საყვარელი სამშობლოს ცხოვრების ყველა სფეროში. 1872 წელს იგი კვლავ პარიზს გაემგზავრა, სადაც ფრანგულ ენაზე უშევს ბროშურას: „ფრანგული პრესის დეკლანსი“. შემდეგში ნ. ნიკოლაძე კვლავ ბრუნდება სამშობლოში და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ.

მუზეუმში მნახველს შეუძლია, აგრეთვე, გაეცნოს ნიკო ნიკოლაძის ოჯახის წევრთა საქმიანობას, მათ ურთიერთობას სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებთან. აქ, წერეთლის, მეტად დახლოებული ყოფილა ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან, ნიკოს ხშირი სტუმარი იყო დიდ-ჯიხანიშვი, დიდი პოეტი ალტაძეში მოჰყავდა არაჩვეულებრივად მოვლილ მამულს, ნიკო ნიკოლაძის მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილ სხვადასხვა ჯიშის ცხოველებს. მუზეუმში დაცულია სურათები, რომლებიც ასახავენ ნ. ნიკოლაძისა და აკაკის ახლი ურთიერთობას.

ნიკო ნიკოლაძე მარტო სიტყვითა და კალმით როდი იბრძოდა საქართველოს ბედნიერებისთვის. იგი ენერჯით აღსავსე, ცოდნას მოწყურებული დაეწევა სწავლას საზღვარგარეთის ქვეყნებში. შეისწავლა ყველაფერი, რაც კი თავის სამშობლოს განვითარებისაკენ ნაბიჯს გადაადგმევენებდა. სულ იმის ფიქრში იყო, რაც შეიძლება მეტს ჩასწავლოდა, რომ შემდგომ მთელი თავისი ცოდნა, თავისი სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს ბედნიერებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის შეეწირა. შორეულ უცხოეთშიც კი არ ავიწყდებოდა თავისი პატარა ქვეყანა, დღენიდაც მასზე ფიქრობდა: „მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: საქართველოსთვის სამსახური, მისი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღლებებულ და აღმტაცებულ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდილ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თაოისუფლებას, არასოდეს არც ერთი წამის განმავლობაში არ მოუხიზნავს ჩემი გრძნობა და გული. არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, იმის მაგიერ, რომ იქაურ ცხოვრებას მიეებოდე და სხვენსავით დამეიწყა ჩვენი ერთი ნაშტევა ჩვეყანა, ჩიენი ყოვლასაგანს უცნობი ხალხი, მე ნიადვც მასზე ვფიქრობდი, რომ როგორც მისთვის ცოტათუნნი სარგებლობა მაინც მომეტანა“.



„ნიკო ნიკოლაძისა და ნ. ჩერნიშევსკის გაცნობა“. დგანან ნ. ნიკოლაძე, ი. ლა ზეოთიყვასა და ი. ჩერნიშევსკი

ნიკოლაძისეული ბაღის ერთი კუთხე დიდ-ჯიხანიშვი






ნიკო ნიკოლაძის ბისტო დიდ-ჯიხიაში, ნიკოლაძისეულ მამულში

ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, ცოდნით შეიარაღებული, პრაქტიკულად მოქმედებდა. პირველად ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა ჩვენში კარაქის სადღვები, რძის სეპარატორი, ინკუბატორი. პირველად საქართველოში მან გამოიყენა ქარის ძალა. მუზეუმის დირექტორ თინა ჭილაძესთან საუბარში გავიგეთ, რომ მუზეუმის ეზოში მდგომი ქარის ძალის დანადგარი რესტავრაციას მოითხოვს, აგრეთვე დიდი სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს, ამ მოკლე დროში, სახლის ქვეშ მოთავსებულ სარდაფში, სადაც ნ. ნიკოლაძისეული მარანია. ამას კი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება. მუზეუმის ეზო დამშვენებულია ჩინური ჭადრით, იაპონური კაკლისა და საცობის ხეებით; ეს ჯიშები ნ. ნიკოლაძემ უცხოეთიდან გამოიწერა. ექსპოზიცია განლაგებულია ნ ოთახში. მეექვსე ოთახში გამოფენილი ფოტოსურათები მოგვითხრობენ დიდ-ჯიხიაში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის გახსნის დღის ამბებს. მეორე სართულის ერთი ოთახი დაკავებული აქვს ნიკო ნიკოლაძის ვაჟის — გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და სპორტმენის გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ამავე სართულის მეორე ოთახში მუზეუმის დირექციას გადაწყვეტილი აქვს მდიდარი მასალის საფუძველზე შექმნას ახალი კუთხე — „ნიკო ნიკოლაძე და სოფლის მეურნეობა“. ეს დამთავლიერებულებს კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოადგენს ამ დიდი პატრიოტის მრავალმხრივ მოღვაწეობას.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი

ნახატები გ. კენახისა



ათეიზმი და მხატვრობა

ივლიანე ძიძიგური



კლესია როგორც ყველგან, ისე მეფის რუსეთში წარმოადგენდა ექსპლოატატორთა იარაღს, რომლის მეოხებითაც მათ მშრომელი მასები მუდმივ მორჩილებაში ჰყავდათ. რელიგიის მხატვრის მით უფრო გულმოდგინედ იცავდნენ კაპიტალისტურ წყობას, რამდენადაც ისინი თვითონ იყვნენ ექსპლოატატორები. 1905 წლის მონაცემებით რუსეთში კლესიას ეკუთვნოდა 2,611,000 დესტინა მიწა და უზარმაზარი საავტო-საწარმოო დაწესებულებანი. სამღვდელთგან პირად სარგებლობაში ჰქონდა 368,566 დესტინა მიწა.

მეფის რუსეთში 90,000-მდე კლესია-მონასტერი იყო, რაც დაახლოებით ორჯერ და მეტად აღემატებოდა სკოლების რიცხვს.

გამთავრება რა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში რელიგიის სოციალური ფუნქციები, ვ. ი. ლენინი წერდა: „რელიგია ერთ-ერთი სახეა სულეირი ჩავერისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს მუდამ სხეულისათვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათორუნული ხალხის მასებს. ექსპლოატატორულ კლასთა უძღურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უცუესის საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ევლურის უძღურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 83).

რელიგიისა და რელიგიური დაწესებულებების რეაქციული როლის, მშრომელი ხალხისადმი მათი მტრული დამკვიდრებულების მხილებაში დიდი როლი შეასრულეს მხატვრებმაც.

რუსულ რეალისტურ ფერწერაში ღრმა შინაარსითა და ემოციური ზემოქმედების ძალით გამოირჩევიან სურათები, რომლებშიც ნათლადაა მხილებული რელიგიური წარმოდგენების ქუმპარიიტი როლი. მათში ყველაზე თვალსაჩინო ნამუშევრებია ი. რეპინისა და ვ. პეროვის ტილოები.

გაეცნობთ ზოგიერთ მათგანს. რეპინის სურათზე „ლიტანია კურსკის ოლქში“ გულმოდგინედ დაკვირვება ცნადაფს, რომ იგი ღრმა სოციალური შინაარსით არის გამაგებელი. ჩანს ეს თემა მოსიყვებას არ აძლევდა ავტორს, რომელიც დიდხანს ფიქრობდა მის მხატვრულ ხორცშესხმაზე.

სურათში მხატვარს მაიარლებით, ხატებით და მათრახით ყველაფერი აქვს ნათქვამი: შესანიშნავადაა გახსნილი შემპურება ხელისუფლების დესპოტიზმი და გლეხის უფულებობა, მხილებული არიან ისინი, ვისაც ეკლესიის „სასწაულთმოქმედება“ ემსახურება.

რეპინი ხუთ წელიწადს მუშაობდა ამ სურათზე. ეს ღრმა მან შემთხვევით როდი აიღო. ლიტანია კურსკის ოლქში ყოველწლიური ტრადიციული მსგელოება იყო და მხოლოდესული რუსეთის აღმშოთებას იწვევდა. კულტმაზურებით არწმუნებდნენ ხალხს, რომ ლიტანიას ბედნიერება მოაქვს მათთვის, ვინც მასში მონაწილეობს; ის კურნავს ადამიანს ყოველგვარი სნეულებისგანო. არწმუნებდნენ ხალხს, რომ ხატი ზებუნებრივმა ძალებმა წარმოშვის და აქედანაა მისი „სასწაულთმოქმედი“ განსაკუთრებული ფუნქციები.

რეპინს ქრისტიანობა ისე, როგორც სხვა რელიგია, ხალხის დამოხების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა და აღიმაღლა კიდევ ხმა მის წინააღმდეგ.

სურათის შექმნის პერიოდში რეპინს არ შეეძლო ცოდნოდა, ზოგიერთი სანატერესო დეტალი, რომელიც დაკავშირებული იყო სასულიერო პირების „სასწაულთმოქმედებასთან“.

ამ ორიოდ წლის წინათ საადმენებლო სამუშაოების ხატარებისას, იმ მიდამოებში მუშებმა აღმოაჩინეს გასული საუკუნის 60-70 წლებში (სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის



ი. რეპინს ლიტანია კურსკის ოლქში

„ლიტანიების“ ფართოდ გავრცელება) აშენებული გამანაწილებელი მუ. იგი მიწისქვეშა მილიებით დაკავშირებული იყო წყაროებთან და ბებთან. რათა ჭკამი არ გამოლეულიყო „წმინდა“ წყალი. ამ ჭის ფსკერზე ამოჩენილი იქნა აგრეთვე ლითონის ბაღები, რომლის საშუალებით მორწმუნეთა მიერ წყალში ჩაყრილი და მასში სასწაულთ „გახსნილი“ ფული მონასტრის საღაროში ხედებოდა.

ლიტანია არ იყო ერთადერთი თემა მხატვრის შემოქმედებაში, რომლითაც იგი რელიგიისა და მის მხატვრულ წინააღმდეგ ილაშქრებდა.

შესანიშნავია მისი „უარი აღსარებაზე“. საკანში მხოლოდ ორნი არიან — მღვდელი თავისი ჯვრით და სიკვდილმისჯილი რევოლუციონერი. მღვდელს სურს, გამოსტყუოს მას კონსპირაციული საიდუმლოება. მაგრამ ვერ აღწევს პატივისცხვან მიიღოს აღსარება.

რუსული რეალისტური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვუნჯის შესანიშნავი ოსტატის ვ. პეროვის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ანტირელიგიური სიუჟეტებს. ეს არის — სოფლის ლიტანია აღდგომას“, „ქაღაჩი სოფელში“, „პერის სიკვდილი“ და სხვ.

ვ. პეროვი სოფლის ლიტანია აღდგომას



პეროვის თითოეული ანტირელიგიური სურათი სამდე-
დელის ნიღაბსადაც სახეს გვიჩვენებს.

„ქადაგო სოფელში“ პეროვის საღიბთობო ნაშრომი
იყო. აკადემიის საბჭომ დაამტკიცა ესკიზი, მაგრამ იგი
შეცდა, როდესაც ფიქრობდა, რომ სურათი ბატრიარქალე-
რი ყოფის იდილიური გამოხატულება იყო. ამ ნაშრომში
პეროვმა გახედავდა: მკვეთრად გვიჩვენა ეკლესიის ქა-
ნობრივი როლი, რელიგიის ქვეშაბრტყი არის.

სოფლის ბატარა ეკლესია. მივლდეს (კალი ხელი ცი-
სიანე აღუბურია, ცალი კი ახლის მუდარი მემამულისაყენ
მაკეშვიკია, ღვთის ძალაუფლების შესახებ ლაპარაკობს
იგი. მემამულეს კი სძინავს; მას ეს ქადაგება სულაც არ
ესაჭიროება, ძალაუფლება მის ხელშია. მისი ლაქია თავ-
გამოდებით ერეკება ვიღაც მოხუცს, რათა ძილი არ და-
ვიკრთებეს ბაბოთს. მემამულის ცილი სოფლის ღონ-ქუნს
ეკურაუბრება... წინა პლანზე ნატიბოულად ჩაყვლილი ორი
გლეხი დგას. მხოლოდ ისინი უსმენენ გულდასამით მამა-
მვლდელის სიტყვებს. მაგრამ ერთი მათგანი მაინც უნდობ-
ლად უტყუროს, ეჭვი ეპარება მის სიტყვებში. სურათის
უკანა პლანზე კი რამდენიმე გლეხი ვიღაც მივიწივარის
უსუნს. ეს ხელში ქადაგები, შესაძლოა, გლეხების გან-
თავისუფლების მანიფესტი, უკავია. აქ პეროვი თითქმის
გვეუბნება: გაბატონებული კლასების უღელქვეშ მყოფ
გლეხობას, სულიერი მამების მოთავსოლი სიტყვებით
გარტყებულებს, მაინც შერჩათ თავისი ძალების რწმენა,
შერჩათ თავისუფლების სიყვარული და რელიგიურ პირ-
მოწინაობას აბუჩავდა ივდლებენ.

ამ სურათის მამიბოლელი ძალა ისევე, როგორც მეორე
ანტირელიგიური ხასიათის სურათისა — „სოფლის ლიტა-
ნია ავღობას“, შესანიშნავად დგავს თანამედროვეებში.
აი მეორე სურათიც: დილა, რიბოლები დაბლა დაშვე-
ბულან, გზები ატალახებულნი. ღარიბი რუსული სოფლის
გასწვრივ პარბაკით მიეგარბება პროცესია: რამდენიმე
გლეხი ჯვრით და ბარბალებით, მივრალი, გათქვირებული,
სახე დასივებული ახალგაზრდა ქალი. სურათის ცენტრში
კი სულიერი მოძვარია, ერთი ხელით ზომა ჩასიქვდობია,
რომ არ დაეღრბეს, მეორეში კი ჯვარი უკავია; გალემში-
ლია ისევე, როგორც დიაკვანი, რომელსაც თავი ვეღარ
შეუკავებია და პარბაზე გაშშლაროილა...
საოცრად გაბედული ჩანაფიქრია და ძლიერადღვა შეს-
რულებული.



ბევრი რამ გამოიყვალა მას შემდეგ, რაც ეს ტილოები
შეიქმნა, მაგრამ განა დაკარგეს მათ მნიშვნელობა? განა
ისინი კვლავ არ რჩებიან მრისხნელ იარაღად? მართალია,
ძველ, მაგრამ მაინც მრისხნელი იარაღად!

შედარებით მეტივე ხანში კაცობრიობამ განაწლი გზა
უმარტოების ორთქლის წარმატებამ ატობის ელექტროსა-
გურამდე. დედაქმნის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრე-
ბის გაგებით დაიწყო კოსმოსის იერიში, ხოლო თანამგ-
ზარი ხომალდის გაშვების წარმატებამ ცხადყო, რომ საბ-
ჭოთა ადამიანი პირველი საძლანეტაშორისი ექსპედი-
ციის მონაწილე გახდება.

ეკლესიის მსახური კი ცდილობენ „შუათანხან“ მეც-
ნიერულ ტექნიკური პროგრესი რელიგიასთან, ქადაგებენ,
რომ ტექნიკური პროგრესი არის „ღვთის შემოქმედებითი“
საქმიანობის ანგაჩობა; მათი აზრით, ადამიანი კი არ
ქმნის ტექნიკის საშუალებებს, არამედ თვით დამოთი. ტექ-
ნიკა ღვთის საყოველთაო გეგმის თანდათანობითი განხორ-
ციელებად და ა. შ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, წლების განმავლო-
ბაში რელიგიური ორგანიზაციები, კულტის მსახურნი,
მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული შინაურ და გარეშე კონ-

ტრეველაციური ძალებთან, მტრულ საქმიანობას ეწეო-
ნენ პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ
საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალიზმის მტრებთან მოი-
ცვად თვით რეაქციული სახელმწიფოს წინააღმდეგ
ბრძოლასაც. მაგრამ დღეს სულ სხვა სურათია. ჩვენში
მორიგელთა აბსოლუტური უზარმაზრობა ჩამოშორდა რე-
ლიგიური ორგანიზაციებს, უარყო რელიგიური ცენტრწმენ-
ბი. ამაყად ჩვენში არსებული რელიგიური დაწესებუ-
ლებანი წარმოადგენენ სახელმწიფოსაგან გამოყოფილ ნება-
ყოფლობით დაწესებულებებს, რომლებიც აღარ ეწევიან
ისეთ მტრულ საქმიანობას, როგორც წარსულში. ამის
გამო საბჭოთა კავშირში ეკლესიის მდგომარეობა არსები-
თად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების ეკლესიის
მდგომარეობისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სა-
ჭირო არ იყოს მეცნიერულ ათვისტური პრობაგანდა.

... ჩვენ არა მარტო შემუშავებულად, არამედ ბატისე-
ცებითაც ვეყურებით მორწმუნე ადამიანებს. ჩვენ მხოლოდ
ამაინ ვაწარმოებთ ბრძოლას, როცა რელიგიის იყენებენ
იმისათვის, რომ ზიანი მიიყენონ ადამიანს. აი მაშინ ვა-
წარმოებთ ჩვენ ბრძოლას“.

(ნ. ს. ნურმულოვი, „პარად“ 1959 წ. 17 მისი).

კომუნისტების მშენებლობის უღელქეხი მიღწევების გვერ-
დით მოსახლეობის მცირე ნაწილი მაინც ჯერ კიდევ არსებობს
წარსულის ცენტრწმენათა ნაწილად გადარსებებით, რაც
ხელს უშლის ადამიანს უკეთ მოაწიოს თავისი ცხოვრება.
საქ. კმ XX ყროლობაზე ანხ. ვ. პ. შკაჟანაძის საანგარი-
ში მოხსენებებში იდოლოგოური მუშაობის შემდგომი გაუმ-
ჯობების საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნული იქნა
ფაქტები ჩვენში სხვადასხვა სექტების არსებობისა და
მოქმედებისა. ისინი ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი გავ-
ლენა მოსახლეობაზე.

სექტანტობა გარკვეული მიმართულებით რელიგიის
ის ადვოტებს მორწმუნეებში ბესილობას, მორწმუნეებს უარ-
ძალას მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-პოლიტი-
კურ ცხოვრებაში. ცხოვრების მიზნას ისინი ხედავენ მხო-
ლოდ ლოცვა-ვედრებასა და ბიბლიის კითხვაში.

არბან ადამიანები, რომლებიც მეცნიერებთ თავიანთ შე-
ხედულებებში, ამა აქვთ ბუნებისა და საზოგადოებრივი
მოვლენების ქვეშაბრტყი და მყარი გავება. რელიგიური ვა-
კონითაბნანი ცდილობენ სწორედ ასეთი ადამიანების
ხარჯზე გაზარდონ სექტანტური საზოგადოება.

აი ზოგიერთი ფაქტიც: ვასლუ წელს როსტოვის ოლქი-
დან თბილისში ჩამოსულმა რელიგიური სექტის წარმო-
მამადგენელმა შესლო სუსტი ნებისყოფის ადამიანებისა-
გან შემდგარი მცირეობისთვის სექტანტური ჯგუფის ჩა-
მოყვობისაგან. მაგრამ ამ ჯგუფმა ვერ პოვა ნაიდავკი თავისი
არსებობისათვის და მალე დაიშალა. ამ რამდენიმე თვის
წინათ ქ. ჭიათურის საზოგადოებრიობის აქტიური ჩარეები
დაიშალა არაიყოცილობად მოქმედ „ორმოცდაათათა-
ნელთა“ რელიგიური სექტა და სხვ.

აღმშრდლობითი მუშაობის შედეგად ჩვენს სინამდი-
ლეში სექტანტობას და მის მსაკვს ყოფილ ვურის რელი-
გიის თავს აღწევენ არა მარტო უზარბო მორწმუნე საბჭო-
თა ადამიანები, არამედ რელიგიური კულტთა მსახურნიც.
რელიგიური ზანესისაგან განთავისუფლებილი მონაწი-
ლეობენ ახალი ცხოვრების შექმნაში, რწმუნდებიან რელი-
გიურ შეხედულებათა უსუსურობაში, კომუნიზმის მშენებ-
ლობასთან მათ შეუთავსებლობაში.

პარტიული ყროლობისა და პლენუმიის გადაწყვე-
ტილებათა მასალებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ათე-
ისტურ პრობაგანდას. ამიტომ საჭიროა მორწმუნეობას
სისტემატური მუშაობა, განსაკუთრებით დიდი მუშაობა
უნდა გასწიონ იდოლოგოური ფორმტის, კერძოდ, ხელოვ-
ნების მუშაობება მორწმუნე ადამიანებში სწორი მსოფო-
მხედვლობის ჩამოყალიბებისათვის.

შექსპირის „რიჩარდ მესამის“ სოციალურ-ისტორიული სათავაძო

გიორგი ჯაბაშვილი

„რიჩარდ მესამე“ შექსპირის შემოქმედების პირველი სერიული ეკუთვნის. ამ ნაწარმოებში ახალგაზრდა დამამატურმა მთელი თავისი შემოქმედებითი ბოტენივა გამოავლინა. ბიესის მთავარი გმირის სახე ისეთივე ძალით არის გამოკვეთილი, როგორც შექსპირის დიდ ტრაგედიებში. მთელი ალტაცებული იყო ამ ქმნილების სიდიდით და დრამატურების სამყაროში პირველ ადგილს კეთუენებდა მას.

შექსპირი სრულიად ახალგაზრდა, დაახლოებით ოც-დარვა წლისა იყო, როდესაც რიჩარდის ტიტანური სახე შექმნა და დროს ინგლისის ნაპირებთან ზღვის ნადამირზე ჯერ კიდევ დაცურავდა შემოქმედებითი არამდის ხანდაზმულობის და ინგლისელებს თავიანთი ქვეყნის ძლიერების ზრდას მოავლინებდა. ახლა უკვე სიამაყით იხსენებდნენ ინგლისელები იმ საუკუნეებს, როდესაც შფოთში და სისხლმღვრაში მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა მათი სამშობლო.

ახალგაზრდა შექსპირი, რომელიც ამ დროს კატარინას, ბეტრიხის და მერკუციოს ხალისიანი სიციცხლებს ცნობდა, ინგლისის წარსულსავე იცქერებოდა. ამის შედეგად წამოიშვა მისი ათი ქრონიკა, რომელთა შესახებ მრაველი ამბობს: „არც ერთ ერს არ შეუძლია იმამყის ისეთი დიდებულება და განაღლიზული ეპოქაობა, როგორიც შექსპირის ისტორიული ქრონიკებში“. ამ ქრონიკებში ინგლისის წარსული თითქმის სამი საუკუნეა ასახული, მაგრამ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ვარდების ომზე (მეფე ჰენრი VI -ის სამეფო წაწილი და „რიჩარდ III“), რადგან სწორედ ეს ბრძოლა იქცა შემოქმედების წარტილად იმ ძლიერებასა და სიდიდისაკენ, რასაც ინგლისმა შექსპირის ეპოქაში მიიღწია.

შექსპირის დროის თეატრი ისტორიულ ქრონიკას დამოუკიდებელ დრამატულ ვარსადა თვლიდა. „ჰენრი VI“-ის სამეფო წაწილი უმთავრესად ამბების ამსახველი ქრონიკეობა აქ ყურადღების ცენტრში რიგობობით დგებთან სხვა-ნაირებზე განიხილ, მაგრამ ისინი ილუბებთან იმ იმარჯვებებთან მიხედვით, თუ რამდენად სუსტნი ან ძლიერიან აღმოჩნდნენა სიტუაციებთან შეფარებით. „ჰენრი VI-ის“ სამეფო წაწილი არ შეიძლება გამოიყოს თუნდაც ერთი გმირი, რომელიც მთელი მოქმედების მამოძრავებელი იქნებოდა. შექსპირი აქ შედარებით ობიექტური იყო მოვლენებისაში. ამ ტრილოგიის სრულ კონტრასტს წარმოადგენს „რიჩარდ მესამე“, რომელიც ტრაგედიად არის აღიარებული. აქ პირველად ყურადღება მილიანად შეჩერებულია ერთ პიროვნებაზე, რომლის ტრაგედიული ბაჰოსი ყველაფერს ვარას თავის ირგვლივ. ამის გამო ლიტერატურის დამკვირვებელი „რიჩარდ მესამეში“ ცდილობენ მართოს ტრაგედიების გაცლენა დაინახონ, რომლებიც გარეგნულად იმეფე თეატრით ხასიათდებიან, ე. ი. წინა პლანზე მოთიანად მთავარი გმირის წამოწევი. მაგრამ შეიძლება ნაკლები შეცდომა დავუვით, თუ ამ მსგავსებში გაცლენის დანახვა არ შეეძლებოდა. უფრო სავარაუდოა, რომ ეს არის ინგლისური დრამის განვითარების ერთ-ერთი სავერტი, სიდაც ორი უდიდესი შემოქმედელი ძიების პროცესში ერთმანეთს შეხვდა. ეს გადაკვეთის წერტილი იყო სტადია, რომელიც განვლილ შექსპირმა, და რომელსაც, ალბათ, უკან მოიტყუებდა მარლოც, რომ დასცლენდა. დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ ორივე დრამატურები, რომლებიც

ერთი ასაკისა იყვნენ, თავისი შემოქმედების დასაწყისში, კერძოდ, სიკვამლის პერიოდში მივიდნენ ამ ადგილთან...

რენესანსის ყველაზე დიდი მისია იმში მდგომარეობს, რომ ამ დროს, როგორც მიზლე ამბობდა, აღმოჩენილ იქნა ადამიანი. ადამიანმა ტრიუმფით შემოიარა ამ ეპოქის ხელოვნების ყველა სფერო. ადამიანის ცენტრში დაყენება საწინდარი იყო მხატვრული ქმნილების გამარჯვებას. იტალიელებმა მთელი ხმით უმღერეს ადამიანის მშვენიერებას, მის სიდიადეს. შემოქმედისთვის ძვირფასი გახდა ადამიანის სულის ყველა მხარე. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად ჩასულიყო ადამიანის შინაგანი სამყაროს მამოძრავებელ ძალებს. აქ, ყველაფერი დიდი, ტიტანური ფორმებისავე მისიწრავოდა. რადგან თვითონ ეპოქაც ტიტანური იყო თავისი „ახრის სიძლიერით, გზავნილია და ხასიათით“. შექსპირი, რომელსაც ამ დროს თავისი სამშობლოს ისტორია დრამატულ ფორმებში გადაქონდა, ერთ-ბაშად წააწყდა რიჩარდ მესამის დემონურ პიროვნებას, რომელმაც მთლიანად დაიპყრო მისი არსება. შექსპირის საშუალება მიეცა გამოეყენებინა შინაგანი ძალა ამ თავისი ტრაგედიული სიდიდით მომხმობელი სახის შესაქმნელად. რიჩარდმა თითქმის ყველაფერს ჩრდილავდა გარშემო. იგი განასახიერებდა ყველა თვისებას, რაც ამ მთვრელ ეპოქაზე გაჩნდა. ასევე გადმოვიდა იგი შექსპირის ნაწარმოებში, და ამ ბიესამ, რომელიც ქრონიკა უნდა ყოფილიყო, თავისი დიასახლით დაარღვია ქრონიკის საზღვრები და თავისი დროის ადამიანის დიდ ტრაგედიად იქცა.

რომ უფრო ნათელი გახდეს შექსპირის რიჩარდ მესამის სახე, საჭიროა ვავითვალისწინოთ ისტორიული ვითარება, რომელშიც იგი აღმოჩნდა. მისი სახელი შეიძირდა არის დაკავშირებული ვარდების ბრძოლასთან, რომელსაც თავისი ღრმა ფესვები მე-15 საუკუნეში აქვს გადგმული. ამ მოვლენებით აღსაესე საუკუნის შესახებ თანამედროვე ინგლისელი პროგრესული ისტორიკოსი მორტონი წერს:

„მთვითმეტე საუკუნე საოცარი კონტრასტების საუკუნე იყო. ზოგიერთ მკვლევარს იგი სურთო დაცემის, ქალაქთა ვარდისა და მოლიტატური ეპოსის პერიოდად ეხატება. მეორენი მიუთითებენ ხალხთა მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ვაჭრობისა და მიწყვებობის ზრდაზე, მართლმადიდებლურ დაწესებულებების განვითარებაზე. ვასალები ამ საუკუნის ამოსწისათვის იმამი მდგომარეობის, რომ ორივე ეს შეხედულება სწორია, მაგრამ არცერთი მათგანი ცალკე ადებული არ არის სრული, ვინაიდან მათმა, როდესაც ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და წარმოების ფეოდალური განვითარების თანდათანობითი კვდობის პროცესში იმყოფებოდა, მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და წარმოების ბურჟუაზიულ საშუალებათა მძაფრი განვითარება“.

ენკელსი ამბობს: „ვიდრე მმართველი ფეოდალური თავდაზნარობის გააფრთხილები ბრძოლები მმართველი აცხდნენ საშუალო საუკუნეებს, ჩავრულ კლასთა შეუმჩნეველი მუშაობა ძირის უთხრად ფეოდალურ სისტემას მოელ დასაყვეთ ვერკობას და ქმნიდა პირობებს, რომლებშიც ფეოდალს სულ უფრო და უფრო მცირე ადგილი რჩებოდა“. ამასობაში კაპიტალი უმერქმებელი ტემპით იმართობა ქვეყნებს და ზედიზედ ამობრდა ფეოდალთა ციხე-დარბაზებს. მან ტრიუმფალური სვლით გადათელა მიწყნაზე

ქვეყნის და მეოღო ქალთა შეუტია ბრიტანეთს, სადაც შესაფერი ნიადაგი მათე სწრაფე განვითარებისათვის.

მღუგამოსილი კაპიტალის ფრევეშ პირველად ინგლისის სამხრეთი ანკროთხო, კაბიტაშხა პირველად აქ დაიდაც თავისი საკუთრებულებები — ქალაქები, რომლებსაც მარკისა „კაპიტალიზმის ყვეგილებშ“ უწოდებეს. საწარმოო კაპიტალიზმის განკარგე ინგლისში სწრაფე რღვევა გამოიწვია ფეოდალთა შორისაკე. ენგელისის სიტყვით „მე-15 საუკუნის ბოლოსათვის ფეოდალთა უკვე გამოუტარა ძირი ფეოდალიზმს და მიზინდა გამოჩინა იგი“. ინგლისურ ფეოდალიზმს, რომელიც სრულ განვითარებას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მიიჩნეულებოდა, ძალეუთარებული სამხრეთ ინგლისის სახით, საშოში მეტოქე გაუჩნდა. იგი თავისი ყოვლისშემძლე ხელით ფეოდალური კონტროლის ქვეშ მყოფ ტახტს წაებოტინა. იკრანობოდა მახვილის რაინდებსა და პრეველებს რაინდებს შორის შეხლის გარუფვალობას; აშკარა იყო, რომ ეს ჩემი დავა სისხლის გაღებით უნდა გადაწვეტინოფიყო. ასეც მოხდა, საკითხი მახვილად გადატარა, და ამ სისხლისმღვრელ, დრამატუზმით აღსავსე ბრძოლას, რომეღეც ოცდაათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ინგლისის ისტორიაში „ალისფერი და თეთრი ვარდების ომე“ ეწოდა. ამ ომის სისხლზე უფხად მორწყულ გუბეს მიუყვართ მის უკანასკნელ აქტამდე, რომეღეც რიჩარდ მეხამის გამეფებით და დავებით მთარღდება.

ფორმით ეს ომი წარმოადგენდა დინასტიურ ბრძოლას ედუარდ III-ის შთამომავალთა შორის. ამ მხრე ვარდების ომი ედუარდ III-ის პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. უკანასკნელმა თავისი შვილით ოჯახური კავშირით შეტარა ქვეყნის ყველაზე უფერი მძლავრი გვარების მემკვიდრეებთან. მისი მიზანი იყო ამ გზით განემტკიცებინა ტახტის ძლიერება, მაგრამ შედეგად მიწის კოლოსალური სამფლობელოებით და სიმდიდრე დაგროვდა ერთი მუქა უმსხვილეს ფეოდალთა ხელში, რომლებიც სამეფო საგვარუდლოსთან საუსაურე კავშირში აღმოჩნდნენ და პოლიტიკურ შეჯავრების ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფოდნენ. საბოლოო ეტაში ედუარდის პოლიტიკამ იმის ნაცდელად, რომ გვიარგინის მდგომარეობა განემტკიცებინა, სამეფო ტახტის ირიველ მეტად საშოში ოპოზიციას შეტარა. 1399 წელს ჩრდილოელმა ბარონებმა ტახტინდა ჩამოაგდეს ედუარდის მემკვიდრე რიჩარდ II და გაამეფეს მისი ბიძაშვილი, ედუარდ III-ის შვილიშვილი — ჰენრი IV ლანკასტერი.

ლანკასტრთა დინასტიამ (ჰენრი IV, ჰენრი V, ჰენრი VI), რომელმაც 62 წელს იბატონა, ხალხის სიყვარული ვერ მოიპოვა. მათი მეფობის დროს აშკარად ბატონობდნენ ფეოდალთა, რომელთა მორიდებულმა პარპაშმა, გადასადანების უზომოდ ზრდად და საწარმეხინი მარცხებმა საგვარუდლებმა (ასწლიან ომში), მოსახლეობის მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვიეს. ჰენრი VI-ის მმართველობის პერიოდი აღსავსეა ფეოდალთა შორის გაგუნისათვის, ძალაუფლებისათვის, ტახტისათვის ბრძოლებით, რასაც ათასეული ინტერესების, მკველებლობა და ტერორის გზით ეწეოდნენ. ბურჟუაზია, გლეხობის ზედდღევა მოსურნენი იყვნენ მძლიერი ხელისუფლებისა, რომელიც შესძებნდა ფეოდალური ანარქიის აღაგმავს.

1445 წლისათვის მეფე ჰენრი VI თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ფეოდალურმა ჯგუფებმა, რომელსაც გრაფი სუფოლი მეთაურობდა. მის ოპოზიციას ხელმძღვანელობდა ტახტის პრეტენდენტი, სამეფო საგვარუდლოს უხალეთესი ნათესავი, ნიჭიერი სარდალი და ინგლისის უმსხვილესი მწიგანმფლობელი, „ევროპის რაინდობის მშვენივე“ რიჩარდ მორტმერი, იორკის ჰერცოგი, რომელსაც მხარს უჭერდნენ რანდები და მოქალაქეები. იორკელებს ამ ბრძოლაში მუხარბაზე თეთრი ვარდი ჰქონდათ დატრული დინასტიკრთა აღისფერი ვარდის დასაპირისპირებლად. აქედან წარმოხდა გამ ბრძოლის სახელწოდება: „ალისფერი და თეთრი ვარდების ომი“.

მოსახლეობის ფართო ფენების განწყობილებისა და მთავრობის ძალის მოსასინჯად იორკის ჰერცოგმა კენტის ამბოხება გამოიყენა. აჯანყებულთა მანიფესტში პოლიტიკური მოთხოვნები სტარობდა. მანიფესტი მოითხოვდა იორკის ჰერცოგისათვის ხელისუფლების გადაცემასა და ფეოდალთა მიერ სამეფო მამულების მფლობელების დაბრუნებას, აგრეთვე, გრავ სუფოლის გაგვემას. ლონდონში შესულ მეამბოხეთა ზეღადის, კელის უტაქტიოდ გადადგმულმა ხაზიგმა საქმე მათ საწინააღმდეგარ შეატარა, რასაც აჯანყებულთა დამარცხება და დამარცხებულთა „თავების თიბვა“ მოჰყვა. გაცრეებული ბურჟუაზია და „ახალი თავადანაწარმოები“ იმდეს ახლა იორკის ჰერცოგზე და დინასტიის უსუსულაზე ამყარდნენ. ამასთან, ამან დაიჭრა ცხალყო მთავრობის სიძალადე. ყოველევე ამაზე აშკარა ვარდების ბრძოლის დაწყება. ლანკასტრების მხარე დაიჭირა მსხვილ ფეოდალთა უმრავლესობამ, განსაკრებებით მიემხნნენ მას პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ნაჩვევი და დიდი სამხრეთი ძალების მქონე ჩრდილოეთი ფეოდლები. იორკების მხარეზე კი პროგრესული სამხრეთ ინგლისი და ლონდონი იბრძოდა, აგრეთვე, მომეტებული ნაწილი ახალი თავადანაწარმოებისა და ბურჟუაზიისა, რომელიც ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამყარებისაკენ ისწრაფოდნენ.

სენტ ალბანსთან გამართვებულ იორკის ჰერცოგი ვეკლიდიან დაანარცხეს და თავი მოეკეთეს. მისმა ცხარემტი წლის ნიჭებმა გაემა ედუარდმა ქარბების დახმარებით სძლია ლანკასტრებს და 1461 წელს ლონდონში ედუარდ IV სახელით მეფედ ეკურთხა. იორკელების გამარჯვება ლანკასტრებზე იმავ დროს წარმოადგენდა ეკონომიურად განვითარებული სამხრეთის გამარჯვებას ჩრდილოეთის ბარონებზე. ლანკასტრელებმა კვლავ სცადეს ბედი, მაგრამ აღსარბულს ყოველთვის ეგმავოტზე მოულოდნენ. ედუარდმა 22 წელს იმეფა. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი თორმეტი წლის ვაჟი, ედუარდ V ავიდა. აქ სცენაზე გამოდის ედუარდ IV-ის ძმა, რიჩარდ გლისტერი, როგორც მცირეწლოვანი მფობის „პროტექტორი“, რომელმაც დახოცა მეფე და მისი პატარა ძმა და რიჩარდ III-ის სახელით გაამეფა. ბარონებმა სასახლის ამ გადატარებულმა სამეფო ტახტის ახალი კანდიდატის წამოწვევით უპასუხეს. ეს იყო ლანკასტრთა საგვარუდლის მემკვიდრე ჰენრი ტილორი, რომელსაც ლანკასტრეულთა ვარდა, რიჩარდის მკაცრი პოლიტიკი უკმაყოფილო მრავალი იორკელი ბარონიც მიემხრო. როდესაც ჰენრი ტილორი, რომელსაც უწინმეფელი დინასტიური უფლებები გააჩნდა ტახტის მოსაპოვებლად, თავის ვარიტი მიღფორდმა გადმორდა, ამ საუკუნის ესოდენ დამახასიათებელმა ინტრიგებმა და შეთქმულებებმა ახალი ძალით ითქმეს. რიჩარდს თითქმის აღარეცა უჭერდა მხარს ბიველმა მოსუგრტანს 1485 წლის 22 აგვისტოს. რომელმაც ორივე მხრიდან ერთი მუქა ხალხი იღებდა მონაწილეობას, რიჩარდის სრული დამარცხებით და დელუპებით დამთავრდა. ჰენრი ტილორი გამოცხადებულ იქნა ინგლისის მეფედ. მან შერთო იორკების საგვარუდლის მემკვიდრე, ედუარდ IV-ის ასული ელისაბეტი და, ამრიგად, თავის ღერბში გაავრთინა ალისფერი და თეთრი ვარდები. ეს იყო ვარდების ომის და ამასთან ინგლისის მთელი ისტორიული ეპოქის დასასრული. „ჰენრი VII-ის მიერ დამყარებული მონარქია სრულად ახალი ტიპის მონარქია იყო, რომელმაც კლასთან ახალ ურთიერთობას ემყარებოდა“ (მორტონი. „ინგლისის ისტორია“).

ეს ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ძირითადად დიდგვაროვან თავადებს შორის წარმოებდა, დაუნდობლად ხასიათს ატარებდა. ამ დროს წარმოიშვა ახალი მორალი, რომლისთვისაც ჩვეულებრივ ამაღ იქცა ორგანი და ბრძოლის სხვა სახეები მეთოდები. ეს მოუტარა ტრავალ კავშირში იმეფებოდა ამ ბრძოლის ძირითად არსთან. თანდათან იზრდებოდა ფეოდალიზმი, რომელიც გაფთვრებით იბრძოდა საკუთარი არსებობისათვის და უკიდურეს სისასტიკეს უპირისპირებდა თავისი მოწინააღმდეგეს შეუბრუნებლობას. კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო იყვრებდა ბრძოლის ასაარეს. ქრებოდა ძველი



ფეოდალური წყობილება და ჩანდებოდა კაპიტალისტური წყობილების პირველი ნიშნები; პირველადი დაგროვებისას, როდესაც კაპიტალი იზრდებოდა არსებობის უფლების მოსაპოვებლად და თავდაობით იქმნიდა ბაზისს, მის წიაღში შეუქონებელად ყალიბდებოდა მისი ზედნაშენი — მისი მორალს, რომელმაც შემდეგად განსაკუთრებით მჭვერი ფორმებით გამოავლინა თავისი შინაარსი. ამრიგად განდგა ახალი, კაპიტალისტური ბაზისი და მასთან ერთად განდგა ახალი ზედნაშენი — კაპიტალისტური მორალი. იგი სრულიად აკმაყოფილებდა თავის ბაზისს. ახალმა სოციალურმა წყობამ საზოგადოებისგან გამოისილა პირველად და ისეთ ერთფედალ აქცია იგი, რომელიც ვარაუდობდა უხად და დიდლუბს, თუ არა შთანთქმ სხვა. მასქენი მიუღწევად: „ქვიში ინტერესი პრაქტიკულია, ხოლო ამ ქვეყანა არაფერია იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე ის, რომი მისი შენი მტერი“. ეს წინააღმდეგობა მჭვერი ფორმებით გამოვლინდა კაპიტალის მიერ აქვემდინარე მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის პროცესში. გამარჯვებული ის რიგებოდა, ვისც ყველაზე უკეთესად მოიპარჯებოდა მის მორალს. იტალიამ, რომელმაც ეკონომიკური განვითარების მხრივ ყველა დანარჩენ ქვეყნებს გაუსწორე, სხვაზე უფრო ადრე თავისი კაპიტალისტური საშაყროს ამ ქვეყანაშია, რამაც მაკაიავლის გაბთქმულ ტრაქტატში მიიღო ჩამოგალიბებული სხე. ინგლისში ობიექტურ რეალობად იგი ვარდების ომში იქცა, რომელშიც, ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს რიჩარდ ჰეასმაქ — კაპიტალიზმის განვითარების პირველ სტადიაზე წარმოშობილ ტიპის სრულყოფილი განსახიერება...

* * *

რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს ისტორიული თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი პიროვნება? ლონდონის ნაციონალურ ჰისტორიკტა გალერეაში დაცულია მისი სურათი. ეს შესანიშნავი პორტრეტები, რომელიც შესაუკუბენის ღირსშესანიშნავი ხელოვნებით არის შესრულებული, მუშე რიჩარდის შინაგანი საშაყროს საუცხოო ვარდნას წარმოადგენს. იგი მკაფურებლს გაურკვეველ გრუნდებს ვერის თავისი დამოხურო მიზიდულობით. მისი იდეალური ციბერებით აღსაცემ თვალები, მრავალნიშნულოვანი გამომეტყველებით მოკუებული მდუმარე ბაგე, ნერვული ხელების შემპარავი მოძრაობა, რომლითაც იგი მარჯვენა ხეზე ბეჭდს ისწორებს, მთლიანად ინდორინდული ინვალისის სულის მჭვეთრი გამოხატულებაა. — ეს მისი თვალები, ბაგე და ხელებია. ამავე დროს მძლავრი და ოდნავ ტლანქი ნაკეთიანი სახე ქრის გამოთქმული მისწრაფების, უსაზღვრო ნებრკის, ზუნუნებრივ თმენისა და ვერავული დაუნდობლობის განცდა და უნებუნებ იწვევს მუნახარად დადგირილი სისხლისა და ცივი იარაღის შემზარავ ასოციაციას. ეს კერპებით უძრავი, ბრვე ფიგურა, მთელი განცდილი მოგვაგონებს ადვილს რიჩარდის განთქმული მონოლოგად:

და მე, ვით კაცი გზას ამცდარი წიწვიან ტევრში
 დოჯის ეკლეს და თვით იყარება ამ ეკლესიის
 ცილკის მონახოს გზა და უფრო შორისა ვი მას,
 კვარს მომხდარა სამწვილობის როგორ გვიდეს,
 სასწორაკვეთი იბრჭის მინე ვის მისაგნებად,
 სწორედ ასეთე ვეწაწვი გვირგვინისათვის.
 ამ წამებთან გამოვხსნი ჩემს თავს სრულიად
 ამ გაეყოფავ გზას სისხლიან ნაჯახით ხელში.
 (ქენრი VI. ნაწ. III. მოკ. III. ს. II)

ისტორიული ცნობები მეტად მცირე მასალას იძლევიან მისი ვარდნის წარმოდგენად: ოდნავ დაბალი უშლი (შორტფეიდას — short-faced), ოდნავ მაღლა აწეული ცალი მხარი, ოდნავ მოკლე ცალი ფეხი. ტანად საშუა-

ლოზე ოდნავ მაღალი, ნერვიულობის დროს ჩვეულებად ჰქონია ექვში ტურის ცენეტა და დანის ოდნავ ამოწევა ბუღიდან...

მისი ცხოვრების სრულიად უზრალად გადმოცემაც კი მომხიბვლად და ამბავდევებელია, რომელიც მხატვრულ-პერიოკული ეჭვნიღბის საცავსად. სწორედ ამით უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ მრავალ ისტორიკოსი და დრამატურგი აღწერდა მის ცხოვრებას, თუმცა რიჩარდი სულ ვაწ წლისა იყო, როცა დაიღუპა, და მისმა მეგობრმა მხოლოდ ორ წელსადვე გასცა. დაიბადა 1452 წლის 2 ოქტომბერს. 13 წელსად იზრდებოდა კინტონგტზე, თავისი დის, ბურგუნდიის პერვილის მუდღისი კარზე. ინგლისში ჩამოვიდა სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ძმა — ელვარ IV ბელგიიდან სამშობლოში დაბრუნდა ხელადან გაახლებული ტაბატე საბოლოოდ დასამკვიდრებლად. ჭაბუკი რიჩარდი, თავისი დროის უზაღლო მეგობარი ტრუტსბერისთან მომხდარი ბრძოლის (1471 წ. 4 მაისი) სულის ჩამდგმული იყო შებოვარი ედუარდიან ერთად, რომლის ბრძახებით და თანდასწრებით მოკლულ იქნა ტყვედქმნილი უელსის პრინცი ედვარდ, ჰენრი VI-ის ვაჟი. ამ გამარჯვების შემდეგ მალე თვით პენის შეეძქესე მოკლე ტოუერში. ისტორიკოსებისათვის დღედად გარკვეულია ამ ქმინე აქტის ვითარება, თუმცა გადმოცემა, სრულიად უსაფუძვლოდ, რიჩარდს სდებს ბრალს, რომ შეცდომა შექსირებაც მიიღო მხოლოდ იმისა სცენა, რომ შეუდგა თავის ტრაველიაში შეექმნა განთქმული სცენა. ამის შემდეგ იხლსში სრული სიმშრევედ სუფედად ეღუპრის ამბავდცალეზამდე. მხოლოდ ერთხელ ყველა შეამარწუნა ძმებს შორის ატხილბომა დაიბა, როცა ელვარე და რიჩარდი, შესაძვ მისი ქერკოკ კლარენსის წინააღმდეგ გამოეგდნენ, ეს უკანასკნელი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა და თავისი უკიდურესად გაუთხოვნილებელი და თვითნებური მოქმედებით თავს დაბრტვა უბედურება. და მასში, როდესაც ყველა შიშის საბრთი მოკლდა და შინაური ომების ხელახლად აშლს, კლარენსს დაკირავებულმა მკვლელებმა მოიუღეს ბოლო. უსაფუძვლოდ გავრცელებულმა ჰორმა ეს ამავეც რიჩარდს დააბრალა. ისტორიულად ეს ბრალდებაც უსაყრფელია. ძმებს შორის განხეთქილება კლარენსის უტარეობა ქვეყანა გამოიწვია, კლარენსი გულმოდგინედ უნაღვლად რიჩარდს თავის ცოლის დას, ლორდ ვარვიკის ასულს — ანა ნევილს, მეფე ჰენრი VI-ის ვაჟის, უფლისწულ ედვარდის ქერვის. კლარენსს იგი თავის სახელი ჰყავდა შეზიზნული და ყველანიარად ცდილობდა ანას კეთონილი აურაცხელი სიმდიდრის ნახევრის მითვისებას. ქალის გათხოვნილის შემთხვევაში კი იგი ხელადან ეცლებოდა. მაგრამ, როდესაც რიჩარდმა აღმოაჩინა კლარენსის მიერ გლეხურ ტანსაცმელში გადაცმული ანა, ედუარდიანობა დაამტკიცებლად ვერ შეძლო ახლდაზრდა პრინციის შეჩერება და შერთო კიდევ თავისი მდიდარი საბუღო ედუარდის დასტურით, რომელიც ყველაფერში ენდობოდა და სამართლიანად თვლიდა რიჩარდს თავისი საგვარეულოს საიმედო და უძლიერეს ბურჯად.

ელვარ ისტორიულად დამტკიცებულად ითვლება, რომ დეუარდის გარდაცვალების შემდეგაც კი, პირველ ხანებში, რიჩარდს არაფართო პატრიოტული ენახრახეა არ ამოქმედებდა. ფაქტები ამტკიცებენ, რომ რიჩარდი თავის მეფე-ძმის ურთულეულის თანამებრძოლი იყო. აქამად აღიარებულია, რომ რიჩარდმა მხოლოდ დღეოფაღ ელვისაზელი და მისი ნათესაების (რომლებიც ცდილობდნენ განედლებათ იგი ყრმა ელვარ V-ის მფარველის პოსტიდან) მოქმედების გამო უმეპყრო და დასაჯა ელისაბეტის ძმა გრაფი რივერსი, მისი პირველი ქმრისაგან ნაყოფი შეიღო დასდ გრევი და სერ თომას ვოვანი. ამით მან მხოლოდ ლონდონის მტრებს, რომლებიც იგივე ბედს განუზამდებდნენ „ლორდ-პროტექტორს“.



ნინო სტეტვანიშვილი

ღვაწლმოსილი გიბლიოთეკარი

ეთერ ხუციშვილი



აღიან ბევრი ადამიანი იცნობს ჩვენში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც საუკეთესო ბიბლიოგრაფს, უმწიკვლო მუშასა და გულთბილ მეგობარს — ნინო სტეტვანიშვილს. ქართული ქართული წიგნთმცოდნეობის ისტორიის სიყვარულმა ნინო მუშაობის დროს იცნო ისტორიის კათედრაზე, ლექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიუცვიეს ასაღვარდაც კლს. მან საკანდიდატო მინიმუმზე ბრწყინვალედ ჩააბარა. მაგრამ ნინოს წიგნებისაკენ გაუწია გულმა, ბიბლიოთეკა ირჩია თავის სამოღვაწეო ასპარეზად და დაიწყო კიდევ მუშაობა ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკაში. პარალელურად მუშაობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. 1933 წელს იგი გადაყარნაღვი იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ახალ დაარსებულ ბიბლიოთეკაში.

და აი, შე საშუალება მომცა გავცნობოდი ამ ადამიანს, რომელიც უნაგროოდ ემსახურება ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს. ჩემს წინ სანდომიანი სახის, შუა ხნის ქალი იდგა. მაღე იგი წიგნსაცავისაკენ გამოძღვა. ჩემს ირველიც აღმართულიყო რკინის მტკიცედ ნაკები ორსართოლიანი წიგნსაცავი, ჩინებულიდ განლაგებული წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. ჯერ კიდევ ქარგებში მშენებლისთანავე უცნაური აზრი დამებადა, რომელიც ახლა კიდევ უფრო განმტკიცდა. დარბაზი, თაროები და ყოველივე ირველიც არსებული რატომღაც გემს მაგონებდა, ხოლო ამ გემის კაბიტანი ნინო სტეტვანიშვილი იყო. ჩემი შობაბეჭდილება ნინოს გავუზიარე. მას ეს ამბავი არ

გაკვირებდა და მიხმობდა, რომ ითქმის იგივე უწრის დაბეჭდა და ააბანინს, როდესაც ეს საცავი დათავალეთურ დასწყობდა მზად ვარ დავეგე საპართავ აულტობას და გუბრამაო ამ წიგნებით დატვირთულ გემს დაიძარს ოკეანებით.

ეს ბიბლიოთეკა მხოლოდ 27 წლისა და ასე მოკლე პერიოდის განმავლობაში აქ კოლოსალური რაოდენობის ლიტერატურა თავმოყრილი და დამუშავებული. ხინომ მიაბნო: ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივი ერთიანად დანტერესებული ვიყავით საჭირო ლიტერატურის შექენით. ამისათვის არავითარ საშუალებებს არ ვერადებოდით. დაველიოდით ოჯახებში, კერძო პირებისაკვს ვიძებდით ჩვენთვის საინტერესო წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. პირსავეულნი, ხელათომანწამოცმულენი მთელი დღეები ვიდებით სახელმწიფო არქივისა და ყოფილი „რევოლუციის მუზეუმის“ სარდაფებში, სადაც თითო ცალგობით ვარჩევდით საჭირო წიგნებს; გროვებდ დაყრილი გაზეთების ნოთრებიდან ვადგებდით მთლიან კომპლექტებს, რომლებმაც შემდეგ ჩვენი ბიბლიოთეკა ასე გაამდიდრა ინსტიტუტის პროფილისათვის საჭირო ლიტერატურით.

ძირითადად აქ შეკრებილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხთა ენებზე, აგრეთვე მთლიანი კომპლექტივი საქართველოში გამოცემული თითქმის ყველა ქართული და რუსული რევოლუციამდელი პრესისა (1842 წლიდან მოყოლებული).

ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში ინახება ისეთი ბოლშევიკური პერიოდული გამოცემები, რომლებიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იმეათობას წარმოადგენენ. ასეთებია ორიგინალები გაზეთებისა: „ბრძოლა“ (1901-1902, 1908, 1917 და 1918 წ. წ.), „პროლეტარიატის ბრძოლა“ (1903-1905 წ. წ.), „ახალი ცხოვრება“ (1906 წ.), „ახალი დროება“ (1906-1907 წ. წ.), „ისკრა“, „პერიოდი“, „პროლეტარი“ და მრავალი სხვა. აქვე ინახება იმეათი უფრხალები საქართველოს შობამზე 1863 წ., იმედი 1881-1883 წ. წ., ივერია და „კვლი“ (მთლიანი კომპლექტივი). საარქივო ფონდშიცაა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ყველა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი გამოცემები. მათ რიცხს მიეკუთვნება ისეთი უცხოელური გამოცემები, როგორცაა 1906 წელს ქართულ ენაზე გამოქული მარქსის „ურთიან კითხვა“; 1905 წელს გამოცემული მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1906 წლის მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“. აქ ინახება კაპიტალის 1872 წ. პირველი რუსული და მისი შემდგომი გამოცემები. აგრეთვე ლენინის ადრეული ნაწარმოებები, გამოცემული როგორც საქართველოსა და რუსეთში, ასევე უცხოეთში; აღ. წულუკიძის საკუთარი ბიბლიოთეკა — წიგნებზე მისივე შენიშვნებით.

ბიბლიოთეკა აწარმოებს ფართო საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. ეს განყოფილება შეიქმნა 1935 წ. ნინო სტეტვანიშვილის ხელმძღვანელობით. მან ამ განყოფილებაში თავი მოუყარა კვლევითიურ ბიბლიოგრაფებს ა. ალაგარიძანს (ამჟამად ბესნიონის), აწ განსვენებულ ქ. მელობოძიშვილს და სხვებს. განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩაატარა. აქ შექმნილია ქართული ბეჭდვითი სიტყვის (1877-1913 წ. წ.) ანალიტიკური აღწერილობათა დიდი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა. აღწერილობა აგრეთვე გაზეთების „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტ“ კეთდება ანალიტიკური აღწერილობიანი სხვადასხვა კრებულებისა, საბიბლიოგრაფიული დაწესებულებათა შრომებისა და ჟურნალებისა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე. დღეისათვის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა შედგება 170.000-ზე მეტი ზარათისაკენ.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ ქართული პირთა მონოგრაფიის საფუძველზე და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის თანახმად, შეადგინა ცალკეული ბიბლიოგრაფიები ისეთ საკითხებზე, როგორცაა მარქსისა და ენგელსის გამოცემები ქართულ ენაზე (1903-1960 წ. წ.), ლენინის გამოცემები ქართულ ენაზე,

ლენინის სტატიებში ქართულ პრესაში. შედგენილია საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის (1888-1923 წ. წ.) თანამიმდევრული ანთიკრიბული ბიბლიოგრაფია, აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიაში მომუშავე რევოლუციონერ მოღვაწეთა ბიბლიოგრაფიები (ლ. კეკელიძე, ა. წულუკიძე, ს. ააუშინი, მ. ბოჭორძე, ა. ჯავახიძე, მ. დავითაშვილი, კაში, მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, ს. კირიგი და სხვა). შედგენილია ბიბლიოგრაფიები ილია შავერძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგანტე ნიხოშვილის და სცების ოსტატების გ. ანაშიძის, მ. საფაროვას, ლ. მესხიშვილის, ნ. ჩხეიძის და სხვათა შესახებ. გახსნილია ფსევდონიმების კატალოგი. შედგენილია ბიბლიოგრაფია მითა რუსთაველზე როგორც ქართულ, ასევე რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ყოველზე ეს მოითხოვდა დიდ შრომატევად მუშაობასა და ენერჯიას. ნიხო სტეფანიშვილი შრომისმოყვარეობის მაგალითი აძლევდა ყველას. მან დიდი ამაგი დასდო ბიბლიოთეკის თავისი ბიბლიოგრაფიული ნაშრომებით. პირადად მან შეადგინა და 1955 წელს გამოსცა „ი. ბ. სტალინის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებლო“. ა. აღაგარდინთან ერთად შეადგინა ბიბლიოგრაფია „ლენინი ამიერკავკასიის შესახებ“, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მკვლევარებს. მასვე ეკუთვნის საქართველოს 1905-1907 წ. წ. რევოლუციის ბიბლიოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი ბიბლიოგრაფია საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევებისათვის, რამაც დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების დაწერე კოლექტივს. ნიხო მერვა შედგენილი აგრეთვე ბიბლიოგრაფიები საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოღვაწე რევოლუციონერთა და სხვათა შესახებ; აღსანიშნავია ფილიპე მახარაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც შესანიშნავი მახარაძეში, ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმში.

ნიხო სტეფანიშვილი ხშირად გამოდის წერილებით რესპუბლიკურ პრესაში. მან დაწერა საინტერესო გამოკვლევა დავითაშვილის ქუჩის შესახებ, რომელიც მიუძღვნა თბილისის 1500 წლისთავს. დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართული თეატრის მოღვაწეზე ბეკლან აბოსარიელზე, აგრეთვე ა. არველიაძეზე. კლარა ციტკინაზე. ს. ხანოიანზე და სხვებზე.

ასევე დროს ნიხო ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელია. მისი მოწაფეა ნიხო ნიკარაძე, რომელიც ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან გადაიყვანა ბიბლიო-

გრაფად. ამჟამად ნიხო ასრულებს რთულ დავალებებს და ინსტიტუტის კოლექტივში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. ბიბლიოთეკა დიდ მონაწილეობას იღებს ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობაში. ინსტიტუტის სესიებთან დაკავშირებით ყოველთვის აწყობს ლიტერატურის დიდ გამოფენას. მნიშვნელოვანი გამოფენა მოეწყო ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით. ეს ბიბლიოთეკა კარგად ემსახურება არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისა და გ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის თანამშრომლებს, არამედ გარეშე მკითხველებსაც.

თავისი გულისხმიერი დამოკიდებულებით მკითხველებსა და ბიბლიოთეკის კოლექტივმა საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა. ნიხო სტეფანიშვილს, ბიბლიოთეკისა და პირადად თავის სახელზე მიღებული აქვს მრავალი მაღალი პატივი. ასე მაგ.: მოსკოვიდან — კალინინის სახ. მუზეუმიდან, დიდესტინის ფილიალისაგან, მწერალ პავლე კოსაგან, ფ. მახარაძისაგან და სხვათაგან, რომლებსაც უსარგებლათ ბიბლიოთეკის კეთილმომსახურებით. ხოლო იმის ჩამოთვლა თუ ვინ მუშაობდა აქ, შორს წაგვიყვანდა. მაგალითად გ. ნახუცირიშვილმა აქ დაწერა ტრაგედია „წიწამური“, რომელიც ასეთი წარმატებით იღვებოდა ჩვენი თეატრების სცენაზე. აქვე დიდხანს მუშაობდა კინოფილმ „ქალის ტვირთი“ გადაღები და სარეჟისორო სცენარის „ჭიაკოიანს“ შექმნელი ჯგუფები. თავიანთი მხატვრული ტილოებისათვის საჭირო მასალით სარგებლობდნენ ლ. გუდიაშვილი, ა. ვეფხვაძე, ელენე ახვლედიანი და სხვები. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ შ. დადიანი, გ. ტაბიძე, რეჟისორი ნ. შენგელაია, გ. ბუნიკაშვილი, აკ. ფაღალავა, რ. ქორქია, ს. ეული, დ. სულიაშვილი, ანა ლვინაშვილი, მარიჯანი, ვენერა ურუშაძე და საქართველოს თუ მომხმ რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მეცნიერები, ხელოვნებისა და სხვა დარგის ღმრთაყვანი. ბიბლიოთეკის დათვალეობით აღტაცებული დარაა ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი დილორეს იხარური.

